ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2018 წელი, 26 მაისი, №9 (6470)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

26 მაისს, საქართველო ეროვნული დამოუკიდებლობის მე-100 წლისთავს ზეიმობს

...1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

– იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრტვინველად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქარ-

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

ილო ბერაშვილი – 100

ილო ბერაშვილი იმ გამორჩეულ კაცთაგანი იყო, ვინც კომუნისტური რეჟიმის დოს შეინარჩუნა ნამდვილი ინტელიგენტის, ერისკაცისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თვისებები. იგი 1918 წლის 10 მაისს დაიბადა და ამავე დღეს, 72 წლის ასაკში შეუერთდა მარადისობას... ამ მხრივაც გამოარჩია უფალმა...

მან სიცოცხლის ბოლომდის ღირსეულად ატარა მუზეუმის დირექტორის მძიმე და საპატიო ჯვარი, აღადგინა და მუზეუმს მისცა ილიას დროინდელი სახე, განახორციელა უნიკალური მნიშვნელობის საექსპოზიციო დარბაზის მშენებლობა.

იუბილის აღნიშვნის ინიციატივა ეკუთვნის ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრს (დირექტორი მაია ზარდიაშვილი) და ახალსოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს (ხელმძღვანელი მარიამ ყვენწაშვილი). ახალსოფლის ახალგაზრდობის ცენტრის გადაწყვეტილებით ჩატარდა კონკურსი ვინ უკეთ კითხულობს ილო ბეროშვილის ლექსებს, რომლის შედეგებიც შეაჯამა კომპეტენტურმა ჟიურიმ (ნინო ბეროშვილი, ციცო ცაკაშვილი, მარინე კურტანიძე, მარიკა პავლიაშვილი და მარიკა ცუკილაშვილი) და გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

ახალსოფლელმა ახალგაზრდებმა გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ილო ბეროშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და მისი პრემიერა შედგა 13 მაისს ყვარლის კულტურის სახლში გამართულ საიუბილეო საღამოზე.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

დღევანდელი საკრებულო წარმოდგენილია ძლიერი სახელისუფლებო დეპუტაციითა და ჯანსაღი ოპოზიციით...

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობაში 27 დეპუტატი მოღვაწეობს და თითოეული მათგანი აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის არსებითად საჭირო პრობლემების განხილვასა და მათი მოგვარებისათვის რეალური გადაწყვეტილებების მიღებაში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ენისლიდან იოსებ სოლომნიშვილი, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთან კახა მჭედლიშვილთან ერთად ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება მოსახლეობას და ორივენი ფიქრობენ მათთვის მეტად მტკივნეული საკითხების მოგვარებაზე. ბატონმა იოსებმა გაზეთ „ყვარლის“ 4 ეგზემპლარი გამოიწერა, რათა სოფლის მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს მიიღოს ობიექტური ინფორმაცია ყვარლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. იგი ინტელექტით გამორჩეული პიროვნებაა და ამიტომაც შევარჩიეთ სადღესასწაულო გაზეთის რესპოდენტად და ვთხოვეთ კითხვებზე გაეცა პასუხი.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

დოლოჭოპთან მისასვლელი გზის მშენებლობა დაათვალიერეს

ყვარელში, „ილიას ტბისა“ და დოლოჭოპის ნაქალაქარის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოები ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა მერიის თანამშრომლებთან ერთად მოინახულა.

დოლოჭოპში აღმოჩენილია V საუკუნის ბაზილიკის ტიპის უდიდესი სატაძრო კომპლექსი.

აღნიშნული პროექტის განხორციელება, რომელიც ილიას ტბასა და დოლოჭოპის ნაქალაქარს დაუკავშირებს, ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვან ზრდას შეუწყობს ხელს.

„მაისობა“ შილდაში



20 მაისს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში სახალხო დღესასწაული „მაისობა“ განსხვავებულ გარემოში აღინიშნა.

მოეწყო კულტურული და სპორტული ღონისძიებები, აირჩიეს შილდის საპატიო მოქალაქეები. მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულებს გადაეცათ სერთიფიკატები, მედლები და ფულადი პრიზები. დღესასწაულზე მოსულმა სტუმრებმა დააგემოვნეს ადგილობრივი საწარმო „ჩელთი“-ს მიერ დამზადებული ღვინო, დაათვალიერეს ვალოდია გელაშვილის ნახატები. სადღესასწაულო კონცერტში ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად მოწვეულმა მომღერლებმა გიორგი ბუშელაშვილმა, ოთო ნემსაძემ და სოფო ბედიამ მიიღეს მონაწილეობა.

სახალხო დღესასწაულზე ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვანო მამულაშვილი, საკრებულოს შილდის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ შავერდაშვილი, შილდის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი ლევან ხუციშვილი, მერიის თანამშრომლები და ევროკავშირის პროგრამა „rasmus +“ დელეგაციის წევრები იმყოფებოდნენ.

გაიმართა ქართული ჭიდაობა, რომელშიც კახეთის მუნიციპალიტეტების სახელოვანმა ფალავნებმა მიიღეს მონაწილეობა. წონითი კატეგორიების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

50 კგ. წონითი კატეგორია
1.სიდამონიძე ანზორი – თელავი
2.მაზიაშვილი თორნიკე – ახმეტა
3.ხარებაშვილი გიგი – ყვარელი
55 კგ. წ. კატ.
1.ბერბერაშვილი ლევანი – თიანეთი
2.ბახბახიშვილი გია – თელავი
3.მაისურაძე შოთა – ლაგოდეხი
60 კგ. წ. კატ.
1.გაგნიძე კახა – ყვარელი
2.კუპატაძე ირაკლი – საგარეჯო
3.ზურაბაშვილი ზურა – ყვარელი
66 კგ. წ. კატ.
1.ჭიკაიძე ნიკო – ახმეტა
2.ჩიტაური თენგიზი – თიანეთი
3.ბუშელაშვილი ნიკა – სოფ. შილდა
73 კგ. წ. კატ.
1.ბახბახიშვილი მიხეილი – თელავი
2.დიდებაშვილი გიორგი – დედოფლისწყარო
3.ჩიხიაშვილი ჯუმბერი – ყვარელი
81 კგ. წ. კატ.
1.მჭედლიშვილი კობა – საგარეჯო
2.ნინიევი ალიკა – ლაგოდეხი
3.ქეთიაშვილი ფირუზი – ახმეტა
90 კგ. წ. კატ.
1.მოსახლიშვილი ტატო – თელავი
2. ლიქოკელი თამაზი – თელავი
3.ბათურიშვილი ილია – ახმეტა

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო თელაველმა ტატო მოსახლიშვილმა, მეორე ადგილი დაისაკუთრა საგარეჯოელმა კობა მჭედლიშვილმა, ხოლო მესამე ახმეტელმა ფირუზ ქეთიაშვილმა, რომლებიც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისად 800, 400 და 200 ლარით დააჯილდოვა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულ ფალავნებს გადაეცათ მედლები და თასები, ხოლო დაკავებული ადგილების მიხედვით 300, 200 და 100 ლარიანი ჯილდოები.

ალეკო ქაფიანიძე

თავისუფალი ჭიდაობა

ამჯერად მხოლოდ ბრინჯაოს მედალი?

4-6 მაისს, რუსეთის ქალაქ კასპიისკში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსებას სხვებთან ერთად იცავდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილი ზურაბ იაკობიშვილი. აღსანიშნავია, რომ ზურაბმა შეიცვალა და გამოვიდა უფრო მაღალ წონაში, მიუხედავად ამისა მან შესანიშნავად იასპარეზა და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

ზურაბმა პირველ წრეში დაისვენა, მეორე წრეში 6:2 დაამარცხა სლოვაკეთის ჩემპიონი სალკაზანოვი. მესამე წრეში შეხვდა ევროპისა და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს ამ წონით კატეგორიაში მაგომედ ყურბანალიევს, მათი შეხვედრა დამთავრდა ფრე 5:5, მაგრამ მსაჯის გაუმართლებელი, საეჭვო მოქმედებების გამო გამარჯვება მიეკუთვნა მის მოწინააღმდეგეს. მესამე ადგილისთვის შეხვედრა მან დამაჯერებლად მოუგო უკრაინის წარმომადგენელ კვიატკოვსკის და დაეუფლა ბრინჯაოს მედალს.

ვულოცავთ ზურაბს ამ წარმატებას და იმედს ვიტოვებთ, რომ განმეორდება გასული წლის მოვლენები. შეგახსენებთ, რომ გასულ წელსაც ზურაბმა ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ხოლო პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედლით დაგვიბრუნდა.

მსოფლიო ჩემპიონატი კი აგვისტოს თვეში ჩატარდება უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს სპორტსმენს (მწვრთნელები: გ.მეტრეველი, ვ.ჭანტურიძე, მ. როზომაშვილი).

ილო ბეროშვილი – 100

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, საკრებულოს და მერის სამსახურების ხელმძღვანელები, ყვარლისა და ახალსოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საიუბილეო საღამო სიმღერითა და ცეკვებით დაამშვენეს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხეურომ“ (ლოტბარი ირაკლი მათიკაშვილი), ახალსოფლის მოსწავლე – ახალგაზრდობის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კახელომ“ (ხელმძღვანელი იზა წყალობაშვილი), ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ახალსოფელი“ (ქორეოგრაფი მარიეტა არჩუაშვილი). ახალსოფლის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ილო ბეროშვილის ლექსები (ნათია ტურიაშვილი, ქეთი ჯავახიშვილი, სალომე ჭაბაშვილი, მეგი ფხოველიშვილი, მარი მოსულიშვილი, თეკლა სვიმონიშვილი, გიორგი დავითოშვილი, ნინო ალადოშვილი, ნანა ჯოხაძე, ლიკა თავბერიძე, გიორგი თაგოშვილი).

საიუბილეო საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა მაია ზარდიაშვილმა, ამავე ცენტრის წარმომადგენელმა მაგული საakიშვილმა, პოეტმა იზოლდა იოსებიანმა და საქართველოს მწერალთა და შემოქმედთა კავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პოეტმა მანანა შატავიძემ. ასევე ილო ბეროშვილის ძმის შვილიშვილმა მახარე აჭაიძემ და ახალსოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აქტივისტმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ეთი მოსულიშვილმა.

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა, დეკანოზმა ბენიამინ ჩიხორლიშვილმა ისაუბრა ილო ბეროშვილის წვლილზე, რომელიც მან აღნიშნული ტაძრის აღდგენა-შეკეთებასა და მის ამოქმედებაზე გაიღო.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა. მან გაიხსენა ილო ბეროშვილის მოღვაწეობის წლები, ის ფასდაუდებელი ამაგი, რომელიც გასწია ილია ჭავჭავაძის მუზეუმის მემორიალობაში აღდგენისა და ექსპოზიციის განახლების, პოეზიის განვითარებისა და ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებისათვის.

საღამოს ესწრებოდნენ იუბილარის ოჯახის წევრები, ნათესავები და მათი სტუმრები. ილო ბეროშვილის უფროსმა ვაჟიშვილმა, ცნობილმა მთარგმნელმა მიხეილ ბეროშვილმა და მისმა ვაჟიშვილმა ილო ბეროშვილმა დიდი მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, წამყვანს მარიკა ცუკილაშვილს და მონაწილეებს ლამაზი საღამოს მოწყობისა და ილო ბეროშვილის გახსენებისათვის და საჩუქრად მიხო ბეროშვილის თარგმანების წიგნები გადასცეს მათ.

მარინე ცუკილაშვილი,
ალექსანდრე გიგილოშვილი

26 მაისს, საქართველო ეროვნული დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ზეიმობს

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

თველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, – ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები – მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის მართვა უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა „საჩუქარი“ მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოიწურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა – დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეგუებოდა ვითარებას.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადგვეღო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!“..

1918 წლის 26 მაისს მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც, ნათქვამი იყო: „ძრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო, საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. „დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკაკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებლად განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი – მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა.

ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

საქართველოს ისტორიაში კი 26 მაისი ერთერთ მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერა, რომელსაც ყოველწლიურად ზეიმობს ქართველი ერი.

გაზეთ „ყვარელი“-ს რედაქცია ულოცავს სრულიად საქართველოს ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

კომუნიკაციების კომისია ინტერნეტის ხარისხის კონტროლის შემოწმებას იწყებს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების შესახებ დადგენილება მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან აცნობეს, კომისიის მიერ მიღებული დადგენილება, რომლის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული, ძალაში 15 აგვისტოდან შევა. მანამდე კი ყველა ინტერნეტ პროვაიდერს ოთხთვიანი ვადა აქვს იმისთვის, რომ აბონენტებთან დადებული ხელშეკრულებები დადგენილებასთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

სწორედ ამის შემდეგ, დაიწყებს კომისია ინტერნეტის ხარისხის კონტროლს და 24 – საათიან რეჟიმში შეამოწმებს, რამდენად იცავენ კომპანიები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და რამდენად ხარისხიან ინტერნეტს აწვდიან აბონენტებს.

„ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმის შექმნაზე კომისია უკვე 10 თვეა მუშაობს. კომისიის მიზანია მომხმარებლებს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდეთ ინტერნეტის ხარისხი და იმ თანხის ადეკვატური მომსახურეობა მიიღონ, რასაც პაკეტებში იხდიან. ხარისხის კონტროლის დაწყების შემდეგ, აბონენტებს ექნებათ მექანიზმი, რომლის საშუალებითაც რეგულარულად გაზომავენ ინტერნეტის სიჩქარეს და ნახავენ რამდენად აკმაყოფილებს მასსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინტერნეტის სიჩქარე რეალურ სიჩქარეს. ამის საშუალებას ის აპლიკაცია იძლევა, რომელიც კომისიის ვებ-გვერდზე ყველა მოქალაქისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

სისტემის ამუშავების შემდეგ, კომისია მომხმარებლის მომართვის გარეშე თავად დააკვირდება პროცესს და სადაც დარღვევას აღმოაჩენს, ოპერატორის მიმართ კანონით განსაზღვრულ სანქციებს გამოიყენებს. მათ შორის, გამოყენებული იქნება ფინანსური სანქციები“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ეს ფატალური დაავადებაა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას“ – რისგან გვიცავს სინამდვილეში აცრა

საქართველოში ყოველწლიურად ათიათასობით ბავშვი იცრება. თუმცა ვაქცინაციასთან დაკავშირებით ბევრ მშობელს სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს და აცრა არ სურს. დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლები სხვა ექიმებთან ერთად ცდილობენ დაარწმუნონ მშობლები, რომ ინფორმაცია აცრების მავნებლობის შესახებ მითია და სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს.

„არ არსებობს მედიკამენტი, რომელსაც გარკვეული უკუჩვენება არა აქვს, მაგრამ ჩვენ ხომ საჭიროების დროს მაინც ვაძლევთ ბავშვს ანტიბიოტიკს, ხველების წამლებს, სიცხის დამწევებს... ვაქცინა კი ყველაზე უსაფრთხო პრეპარატია სხვა ფარმაცევტულ პროდუქციასთან შედარებით“ – ამბობს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი პაატა იმნაძე.

ყველა მშობელმა ზუსტად არ იცის, რა მძიმე დაავადებებისგან იფარავს ბავშვს აცრის საშუალებით. გთავაზობთ იმ დაავადებების აღწერას, რომლებიც აცრის შემთხვევაში არასოდეს დაგემართებათ.

B ჰეპატიტი

ეს დაავადება წელიწადში კლავს 600 000 ადამიანს. მას „ჩასაფრებულ“ მკვლელს უწოდებენ. დაავადების სიმპტომები შესაძლოა ათწლეულების მანძილზეც კი არ გამოვლინდეს. როცა სიმპტომები თავს იჩენს, შესაძლოა უკვე განვითარებული იყოს ციროზი ან სიმსივნე. ეს დაავადებები სიცოცხლეს უსწრაფებს ჰეპატიტით დაინფიცირებულ ყოველ მეოთხე ადამიანს. დაავადებულებს მთელი ცხოვრების განმავლობაში უწევთ მასთან ბრძოლა, რადგან ქრონიკულად მიმდინარეობს.

BCG – ტუბერკულოზი

ვაქცინაცია ორგანიზმს სრულად ვერ იცავს ტუბერკულოზით დაავადებისაგან, მაგრამ ბავშვებში ხელს უშლის ტუბერკულოზის მძიმე ფორმების განვითარებას, რომელიც მკურნალობას ძნელად ექვემდებარება და ხშირად სიცოცხლისათვის საშიშია.

- წლის განმავლობაში 2-3 მილიონი ადამიანი იღუპება, მათ შორის 100 000 ბავშვი.
- ყოველი მესამე ადამიანი ინფიცირებულია.

დიფთერია

დიფთერია მწვავე ინფექციური დაავადებაა, ხასიათდება ნუშურების, ხახის, ცხვირის, ხორხის, ტრაქეის, ზოგჯერ თვალისა და გენიტალიების, იშვიათად კანისა და სხვა ორგანოების ლორწოვანი გარსების ფიბრინული ანთებითა და ზოგადი ინტოქსიკაციით.

90-იან წლებში საქართველოში დიფთერიის ეპიდემია დაიწყო. რომელიც გაგრძელდა 90-იანი წლების ბოლომდე, 1500-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა და მათ შორის 150 – მდე გარდაცვალებით დასრულდა.

პნევმოკოკური ინფექცია

ჯანმრთელობისათვის სახიფათო დაავადებების მიზეზი ხდება განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებში. პნევმონია, შუა ყურის ანთება, ბაქტერიემია, სინუსიტი, მენინგიტი (თავის და ზურგის ტვინის გარსების ანთება). ამ უკანასკნელის განვითარების შემთხვევაში, დაავადება მიმდინარეობს საკმაოდ მძიმედ და აუცილებელი ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. დაავადება მიმდინარეობს საკმაოდ მძიმედ და შესაძლებელია დასრულდეს ფატალურად.

წითელა

წითელამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები – ენცეფალიტი, პნევმონია, დიარეა, ოტიტი და სხვა.

ძალიან სერიოზული შორეული გართულებაა ქვემწვავე მასკლეროზირებელი პანენცეფალიტი, რომელიც შესაძლებელია განვითარდეს წითელას გადატანიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ამ დაავადებისგან გადარჩენის შანსი არ არსებობს.

პოლიომიელიტი

პოტენციურად ფატალური დაავადებაა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას. ინფიცირებულების უმრავლესობას (70-ს 100-დან) ვიზუალური სიმპტომები არ უყალიბდება. მხოლოდ L-ს უვითარდება სურდოს მაგვარი სიმპტომები – ყელის ტკივილი, ცხელება, დაღლილობა, გულისრევა, თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი. სიმპტომები, ჩვეულებრივ, 2-5 დღე გრძელდება და თავისით გაივლის.

შესაძლებელია განვითარდეს თავის ან ზურგის ტვინის დაზიანებასთან დაკავშირებული სიმპტომები – პარესთეზია, მენინგიტი (1 შემთხვევა 25 ინფიცირებულიდან), დამბლა (200 ინფიცირებულიდან ერთი შემთხვევა). დაავადების ტიპიური კლინიკური გამოვლინებაა კიდურების მწვავე დუნე დამბლა, რომელიც არის მუდმივი და მისგან განვითარებული დეფორმაცია დაავადების ადეკვატური შედეგია. დაავადება აქტუალურია 5 წლამდე ასაკის ბავშვებში.

ყივანახველა

განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს წლამდე ასაკის ბავშვებში.

გართულების შემთხვევაში აღინიშნება წონის კლება, უნებლიე შარდვა, ნეკნის მოტეხილობა მწვავე ხველების გამო, პნევმონია, კონვულსია, აპნოე, ენცეფალოპათია. შესაძლოა გახდეს ლეტალური გამოსავლის მიზეზი.

ტეტანუსი

ტეტანუსი მეტად მძიმე მწვავე ინფექციური დაავადებაა, ხასიათდება კუნთების კრუნჩხვით. მას ჭრილობის ინფექციას უწოდებენ.

დაავადების ადრეულ პერიოდში დამახასიათებელია ბრონქიტი, ასპირაციული და ჰიპოსტაზური პნევმონია; მოზრდილებში – ინფარქტი, გულის კუნთის დამბლა, ჰიპერტონია, ლარინგოსპაზმი, ფილტვის ემბოლია. მწვავე პერიოდშივე შესაძლოა განვითარდეს კუნთების გახლეჩა ან/და ძვლების მოტეხილობა.

პროგნოზი სერიოზულია, ლეტალობა 40-50%-ია. ახალშობილებსა და მშობიარეებში ლეტალობა 90-100%-ს აღწევს

ბავშვს უნდა ჩაუტაროთ აცრა, თუ გსურთ, რომ ამ დაავადებებისგან დაცული იყოს.

mshoblebi.ge

უგულო

ძვირფასო მკითხველო, ვიცი წერილის სათაური არ მოგეწონებათ, მართალნიც ბრძანდებით, არც მე მომწონს, მაგრამ სხვა სახელი ვერ მოვუძებნე იმ ადამიანის ქმედებას, რომელიც ჩემი წერილის ადრესატია. დიახ, მეც თქვენსავით მინდა, რომ ყველა ჩვენთაგანი ისეთი სიყვარულით ვიყოთ ანთებულნი, ერთმანეთის სიხარული რომ გაგვეხარდება და ერთმანეთის ტკივილს გავიზიარებთ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი „ენერგო-პროჯორჯიის“ თანამშრომელ, უბნის მენეჯერ შალვა გიორგაშვილზე. ალბათ ფიქრობთ, ცხოველებსაც აქვთ გულიო. დაგეთანხმებით, სულხან-საბა ორბელიანი ხომ ბრძანებს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „ერთგულება ძაღლისა, გულისხმიერება ვირისა“. მაგრამ ამჯერად სხვა ფენომენთან გვაქვს საქმე. ეს ამბავი კი ასე დაიწყო. 23 თებერვალს მოვიდა სოფელ საბუის უფლებამოსილი პირი ვაჟა მამულაშვილი და გამოგვიცხადა, თქვენი მრიცხველი არ მუშაობს კარგად და უნდა შევცვალოო. შეცვლა და ხუთ დღეში, ანუ 1 მარტს, მოვიდა ქვითარი და რას ვხედავ გაგვიხარჯია 116 კვტსთ ენერგია, გადასახადი 26 ლარი და 46 თეთრი. მაშინვე დავრეკე ბატონ შალვასთან, შემპირდა, კომისიას გამოვგზავნიო, მაგრამ თქვენ ეგ გადასახადი უნდა გადაიხადოთ, თორემ დენს შეგიჭრითო. გადავიხადეთ, მაგრამ კომისია არ მოსულა, ამიტომ თავად ვეახლე ძლიერს ამა ქვეყნისას. ამჯერად, მეორე დღესვე მოვიდა „კომისია“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კომისიის წევრი, რომელსაც ევალებოდა მრიცხველის შემოწმება, უფროსის ყურმოჭრილი მონა იყო. განაცხადა ყველაფერი რიგზეაო. კიდევ ერთხელ დავუსვი კითხვა, რა ხელსაწყოები უნდა ჩაგვერთო, რომ ხუთ დღეში 116 კვტსთ ენერგია გაგვეხარჯა? ამაზე პასუხი არა აქვთ. მაინტერესებს, როგორ დაადგინეს, რომ მრიცხველი არასწორად მუშაობდა, მაგრამ იმას ვერ გიხსნიან როგორ გავხარჯეთ 116 კვტსთ ენერგია, ორ პენსიონერ, რამის ოთხმოც წელს მიღწეულ მოხუცებს?

მეგონა ჩემს ულამაზეს და უსაყვარლეს საქართველოში, რომელსაც ასე უმღერიან: „ხალხიც თბილი და მზეც თბილი, ესაა ჩემი ქვეყანა“, ყველა ადამიანი თბილი და სულით ლამაზი იქნებოდა, გულთან მიიტანდა, გაარკვევდა სიმართლეს, მაგრამ სამწუხაროდ არსებობს ადამიანი, რომელსაც სხვისი ტკივილი არად უღირს. რას ვიზამთ, იესო ქრისტეს თორმეტ მოწაფეში ერთი ხომ გამცემი იყო. მის სახეზე ეწერა, არ გადაიხდი და შეგიჭრი დენს, მეტი საქმე არ მაქვს შენს კითხვებს ვუპასუხო. უნებურად გამახსენდა ფილმი „მონანიება“, „დოქსოპუულო, შენ დედა გყავს?“ დამწყდა გული. ოთარაანთ ქვრივმა იპოვა სამართალი და მე XXI საუკუნეში დავდივარ წინ და უკან, სამართალი კი ვერ მიპოვნია. იმედი მაქვს ვიპოვნი, რადგან პანდორას ყუთში ხომ მხოლოდ იმედიღა დარჩა. გამოჩნდებიან კეთილი ადამიანები, რომლებიც სიმართლეს მაპოვნინებენ“.კეთილ ხალხს ქვეყნად რა გამოლევს, კეთილი ხალხი ქვეყნად ულევია“, – ბრძანებს პოეტი მედეა კახიძე.

შალვა ბატონო, თანამდებობა დროებითია, ის თვისებები კი, რაც ადამიანს ამშვენებს სიყვარული, გულისხმიერება, ერთმანეთის მხარში დგომა, ობიექტურობა, რომლებმაც სასუფევლისაკენ უნდა გაგვიკაფოს გზა, თურმე ყველას როდი გააჩნია. მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც ლამფის შუქზე გაიზარდა, მის შუქზე სწავლობდა გაკვეთილებს, (არც თუ ურიგოდ, სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე). მაგრამ, ვაი იმ საქართველოს, როცა პენსიონერ მასწავლებლებს (ცოლიც, ქმარიც) ლამფის შუქზე აცხოვრებთ.

დოდო გიაშვილი

იქნებ მიგვეხედა

რამდენიმე დღის წინ ყვარელმა ზეიმით აღნიშნა ჩვენი მამულიშვილის, მრავალი პუბლიცისტური წერილებისა და ლექსების ავტორის, ბატონ ილო ბეროშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. საზოგადოება არასოდეს არ ივიწყებს ასეთი შემოქმედებითი ადამიანების ღვაწლს ქვეყნის წინაშე. ბატონი ილო მართლაც გამორჩეული პიროვნება იყო და იმსახურებდა კიდეც ამას, მაგრამ ერთი რამ გამოგვრჩა, – ჯერ კიდევ წლების წინ ყოფილი აღმასკომის შენობის აღმოსავლეთით მდებარე ბაღს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ეწოდა ილო ბეროშვილის სახელობის სკვერი. უპრიანი იქნებოდა გაკეთებულიყო პატარა მემორიალური დაფა, რომელსაც ექნებოდა წარწერა, – ილო ბეროშვილის სახელობის სკვერი. ჩვენ თუ არა, ჩვენი მომავალი თაობებისთვის მისი სახელი უფრო უკვდავყოფილი იქნებოდა.

დალი ტატულიშვილი

როგორ გავარჩიო კარგი წამალი ცუდისაგან?

ხშირად, როდესაც ბაზარზე ახალი პრეპარატი გამოჩნდება, ყველა მის ქებას იწყებს. რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ეს აუცილებლად კარგი წამალია. არსებობს წამლები, რომელთა მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე არ შეიძლება, თუმცა არის ისეთებიც, რომელთა შეძენაც ადამიანებს ურეცეპტოდ შეუძლიათ. როგორ გავარკვიოთ, კონკრეტული პრეპარატი ნამდვილად კარგია თუ არა?

„ვიკიპედიით“ ვერ გავიგებ?

ვერა. ვიკიპედიის სტატიებში ინფორმაცია არასრულია და ზოგჯერ არასწორიც. ამას კვლევები ადასტურებს. რესურსის ინგლისურენოვანი ნაწილი უფრო სანდოდ მიიჩნევა, მაგრამ მისი რედაქტორები თავად აღიარებენ, რომ ის არასრულყოფილია. ქართულენოვანი ვიკიპე დიის და თემატური გვერდების მხრივ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა.

არსებობს პოპულარული ვებგვერდი WebMD, რომელიც Google-ის სისტემაში სამედიცინო საკითხების ძიებისას პირველივე ბმულებში ჩნდება, მაგრამ სანდო წყარო არც ის არის.

აბა, სად გავარკვიო?

არსებობს რამდენიმე ინგლისურენოვანი ვებგვერდი, რომლებიც გადამოწმებულ სამედიცინო ინფორმაციას აქვეყნებენ. ამ რესურსს ერთ-ორ წელიწადში ერთხელ აახლებენ. დიდწილად ეს სახელმწიფო ვებგვერდებია, საექიმო საზოგადოებების, პაციენტთა ორგანიზაციების და ფონდების ვებგვერდები. მათ შორის ყველაზე სრული და ცნობილი გვერდები შემდეგია:

– UpToDate (საექიმო ცოდნის ავტორიტეტული ბაზის პაციენტებისთვის განკუთვნილი განყოფილება);

– MedlinePlus (ამერიკული სახელმწიფო ვებგვერდი, რომელიც იმავდროულად მუშაობს, როგორც ხარისხიანი ვებგვერდების საძიებო სისტემა);

– NHS Choices (ბრიტანეთის ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურის ვებგვერდი);

– MayoClinic.org (ცნობილი ამერიკული კლინიკის აყო-ს ვებგვერდი).

ქართულ ენაზე ასეთი საძიებო რესურსი არის?

საქართველოში იმ პრეპარატების მოძიება, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ბაზარზე დაშვებულია, ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ვებრესურსზე pharmacy.moh.gov.ge შეიძლება. აქ კონკრეტული პრეპარატის პოვნა სხვადასხვა საძიებო ველში შესაბამისი ინფორმაციის მითითებით არის შესაძლებელი. რესურსზე ყველა იმ წამლის მონაცემებია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ეფექტიანობაზე და უსაფრთხოებაზე შემოწმებულია. პრეპარატის რეგისტრაციის ვადა 5 წელია. შესაბამისად, მონაცემთა ბაზა მუდმივად ახლდება, ვიდრე მწარმოებლები ან დისტრიბუტორები თავიანთ პრეპარატს ხელახლა არ დაარეგისტრირებენ.

საქართველოში წამლების რეგისტრაციის ორი რეჟიმი მოქმედებს: ეროვნული და აღიარებითი. წამალი მოწმდება ბაზარზე შემოსვლამდეც და დისტრიბუციის პროცესშიც. კონტროლი დოკუმენტურ ექსპერტიზასთან ერთად, რომელიც პრეპარატის რეგისტრაციისთვის აუცილებელი პირველი ეტაპია, ბევრ მიმართულებას მოიცავს, მათ შორის, ლაბორატორიულ ექსპერტიზებსაც, რომლის მიზანი ბაზარზე შემოსვლის შემდეგ წამლის ხარისხის შენარჩუნების კონტროლია. ეროვნული რეგისტრაციის პროცედურა უფრო რთულია და ვადებში გახანგრძლივებული. მწარმოებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მითითებული უნდა იყოს პრეპარატის ეფექტიანობის და უსაფრთხოების დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება, მათ შორის – კვლევების შედეგებიც.

რაც შეეხება აღიარებით რეგისტრაციას ის 2009 წელს ამოქმედდა და პრეპა-

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

დღევანდელი საკრებულო წარმოდგენილია ძლიერი სახელისუფლებო დეპუტაციითა და ჯანსაღი ოპოზიციით...

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

– ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში ენისელების უმრავლესობამ ნდობა გამოგიცხადათ და აგირჩიეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად, როგორ ცდილობთ მათთვის მიცემული დანაპირების შესრულებას?

– ადგილობრივი ხელისუფლების 2017 წლის არჩევნებში, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მოვიდა ძალიან დიდი უპირატესობით: 27 დეპუტატიდან 20 ჩვენი პარტიის წარმომადგენელია (მაჟორიტარი და სიით არჩეული). როგორც მთლიანად პარტიას, ასევე ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს სტრატეგიული და ტაქტიკური პროგრამები, რომლებიც გათვლილია გრძელ და მოკლე ვადიან პერიოდებზე. რა თქმა უნდა, პროგრამა გამაჩნია მეც, ენისლის მაჟორიტარ დეპუტატს, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს გავაკანი ენისლის მოსახლეობას. მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო სოფელ ენისლის მოსახლეობას, ხალხს, რომელმაც მე გამზარდა და ბევრი რამ მასწავლა, მადლობა გადავუხადო დიდი ნდობისათვის და დიდი დავალებისთვის, რაც მათგან მივიღე.

– მაინც რა პრობლემები აწუხებთ, როგორ და რა საშუალებებით ფიქრობთ მათ მოგვარებას?

– ენისლელები მშრომელი, გამრჯე ხალხია. მშრომელი ადამიანი ვერ მოითმენს უქმად ყოფნას. განვლილი მძიმე პერიოდების შემდეგ დღეს უკვე ეკონომიკა აღორძინების გზაზეა: სოფელში გაშენდა ვენახები, თხილის პლანტაციები, ხილის ბაღები, წინ მიდის სამშენებლო საქმე, ინტენსიურად ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. მიმდინარე საქმიანობა მოითხოვს ადამიანურ რესურსებს და განსწავლულ, პროფესიონალ კადრებს.

გულწრფელად გეტყვით – დღეს ენისელში მუშახელი და ხელოსან-სპეციალისტი ჭირს, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტები, უცხო ენათა მცოდნენი, ამასთან ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაუმჯობესება. ამ ყველაფრის გადასაჭრელად ბევრი შრომაა საჭირო, ჰოდა, როგორც ამბობენ: „რომ აშენო უნდა იცოდე, რომ იცოდე უნდა ისწავლო“. იმისათვის, რომ ქალაქისკენ და ქვეყნიდან საზღვარგარეთ ახალგაზრდების გადინება შევაჩეროთ, საჭიროა უპირველესად წინსვლა განათლების სფეროში. შემდეგ ახალგაზრდა, რომელიც მიიღებს საუნივერსიტეტო, კოლეჯის თუ ლიცეუმის განათლებას, უნდა მოვიზიდოთ უკან – სოფელში. ამისთვის უნდა გაუმჯობესდეს ახალგაზრდების სამუშაო, დასვენების და გართობის პირობები, უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის სპორტული ცხოვრების ასაღორძინებლად. ჩაფიქრებული გვაქვს ახალგაზრდული ცენტრის და ინტერნეტ-კაფეს გახსნა. ახალგაზრდულ ცენტრში აუცილებელად შევქმნით ფოლკლორულ განყოფილებას. ენისელში მუშაობს ფეხბურთის და რაგბის სექციები, მაგრამ გვინდა სოფელში ჭიდაობით დავაინტერესოთ ახალგაზრდები, ხოლო ჩვენს შესანიშნავ სტადიონს მოვიყვანთ წესრიგში.

– ვიცით, რომ გარკვეული წლები ენისლის №2 პროფტექნიკურ სასწავლებელში მოღვაწეობდით, რა პროფესიებს ასწავლიდით და თუ ადგებოდათ ახალგაზრდებს შემდგომში ცხოვრების ურთულესი სარბიელის დაძლევაში?

– პროფტექნიკურ სასწავლებელში (№2 სპტს) ვასწავლიდი შრომის დაცვას და პედაგოგიკას. სასწავლებლის კურსდამთავრებულები ახლაც შრომობენ სხვადასხვა სფეროში მძღოლებად, ტრაქტორისტებად, ხარატებად, ელ.შემდუღებლებად, მევენახე-მებაღეებად. სიხარულით აღვნიშნავ, რომ დღესაც მხვდებიან ჩემი ყოფილი მოსწავლეები და მადლიერებით ვიხსენებთ ერთად გატარებულ წლებს.

– თქვენი სოფლიდან უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული პროფტექნიკურში და ოჯახებს არჩენდნენ, თუ გიფიქრიათ სოფლელებს მისი ფუნქციონირების (მით უმეტეს ბაზა არსებობს) აღდგენაზე და პერსპექტივაში რას ელოდებით?

– №2 სპტს-ში 155 ადამიანი მუშაობდა! 500-მდე მოსწავლე სწავლობდა! შეიძლება ამ მასშტაბით ვეღარ აღდგეს, მაგრამ მე ვთხოვ საკრებულოს და მერიას, ბატონებს როსტომ სესიაშვილს და დავით ქევხიშვილს, რომ გამოიყენონ ის რეზერვი, რაც ჯერ კიდევ დარჩენილია სასწავლებლის ბაზაზე და ააღორძინონ იგი.

– ამჟამად ნეკრესის ეპარქიის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობთ, რას ემსახურება ეს სასწავლებელი?

– გრემის აბიბოს ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარიაში ვკითხულობ ლექციებს „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“ და „ქრისტიანულ პედაგოგიკა“-ში. სემინარია ამზადებს საქართველოს სამოქალაქო ეკლესიისთვის მღვდელ-მსახურებს და სპეციალური სასწავლებლებისთვის პედაგოგებს. სემინარია იძლევა ბაკალავრის დიპლომს.

– უკანასკნელ პერიოდში გაძლიერებული პროპაგანდა მიმდინარეობს სექსუალურად განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანების უფლებების დაცვისათვის, მაგრამ ხალხის უდიდესი ნაწილი“ სოდომის“ ცოდვის წინააღმდეგია, როგორ მიგაჩნიათ გაიმარჯვებენ ეშმაკისეულნი?

– უფალმა შექმნა კაცი და ქალი. არავის აქვს უფლება წავიდეს ღვთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს ყველა მოქალაქის სიცოცხლის, შრომის და მშვიდობიანი ცხოვრების უფლება და დღევანდელი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს, მაგრამ სოდომის ცოდვის პროპაგანდას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. ბოროტებას (ეშმაკს), რომ შეეძლოს სიკეთეზე გამარჯვება, უკვე აქამდე გაგვანადგურებდა, თუმცა ჩვენ ღვთისნიერი ცხოვრების წესით უნდა ვაჩვენოთ მაგალითი ერთმანეთს და ყველას.

– ნარკოტიკის ლეგალიზაციაზე რას გვეტყოდით, რა სიკეთის და რა ზიანის მოტანა შეუძლია მას?

– ეს მსოფლიო პრობლემაა. საერთოდ თვითმკვლელობა დიდი ცოდვაა და შეუნდობელია უფლისგან (თუმცა ჩვენ უნდა ვილოცოთ ყველა გარდაცვლილის სულის საცხონებლად). ახალგაზრდები უნდა წავიყვანოთ განათლებისკენ, ხელოვნებისკენ, სპორტისკენ და საერთოდ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისაკენ.

არა ნარკოტიკს!

– საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ვზეიმობთ, სამწუხაროდ ტერიტორიის ერთი მესამედი დღეისათვის ოკუპირებულია, თქვენი აზრით რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქვეყნის გამთლიანებისათვის?

– უფალმა კაცი გააჩინა თავისუფლად! თავისუფლება კი აზროვნების თავისუფლებიდან იწყება. საამაყოა და სასიხარულო, როდესაც თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, თუმცა ძალზე ბევრია გასაკეთებელი.

საქართველოს მოსახლეობას ვულოცავ ქვეყნის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს და ვუსურვებ ყველას – ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ავარიელებს, ქურთებს, ასირიელებს, ბერძნებს, რუსებს, უკრაინელებს, პოლონელებს და ყველას ეცხოვროთ თავისუფალ და ძლიერ საქართველოში!

– უფლის წყალობით მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ ეზიარონ მუზას, თქვენი ლექსები კი პოეზიის მოყვარულთა მოწონებას იმსახურებს, თუ გიფიქრიათ კრებულის გამოცემაზე?

– მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის!

მიფიქრია, მაგრამ ისე, ჩემთვის, თუმცა მეგობრები ასე ვთქვათ მაგულიანებენ, რომ პატარა ბუკლეტი მაინც გამოვცე, ვნახოთ.

– ახალ ლექსს ხომ არ შემოგვთავაზებდით?

– სიამოვნებით, ამ ახალ ლექსს დავარქვი „კახური ამბავი“

მზე ენთო ზვარში, როგორც სანთელი,
მთვარე ალერსით ბარდნიდა კოცნას,
ვაზის სურნელით მთვრალი კახელი,
ტკბილი ღიღინით ამბობდა ლოცვას.
ნიკალასფერი ცა იწვა მთებზე,
კვლავ ირწყვებოდა ვენახი ცრემლით,
ისხდნენ ბალღები გოლიათ მხრებზე,
მგლის ჯიშისანი მამით და დედით.
ღელავდა ყანა, ღვიოდა კერა,
საფიცარ იყო სამშობლო ერთი,
იყო გუთანი, ხმალი სიმღერა,
და უფრო მაღლა უფალი ღმერთი.

– როგორ შეაფასებდით ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას?

– დღევანდელი საკრებულო წარმოდგენილია ძლიერი სახელისუფლებო დეპუტაციითა და ჯანსაღი ოპოზიციით, რაც მის წარმატებულ საქმიანობას უწყობს ხელს. ბატონ დავით ქევხიშვილის თავმჯდომარეობით საკრებულოს საქმიანობა მიდის გეგმიურად, წარმატებულად და მშვიდად. მადლობა ბატონ დავითს და საკრებულოს ყველა წევრს.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

წმიდა ილია მართლის ყვარლის ეზო-კარის აღმდგენელი

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, ცნობილმა მწერალმა, პოეტმა და პუბლიცისტმა – ილო ბეროშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ილიას ეზო-კარის მემორიალობის აღდგენაში.

1938 წლის 1 მაისამდე, მუზეუმის გახსნამდე, აქ იყო სხვადასვა დანესებულებანი, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ილიას მშობლებისეული სახლისა და კარმიდამოს იერსახე და დაარღვია მემორიალობა.

ილიას გარდაცვალების შემდეგ, ამ ეზო-კარის იურიდიული მეპატრონე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ უპატრონა ილიას ანდერძის საფუძველზე მიღებულ ქონებას. აი, რას წერდა ახალგაზრდა ყვარლელი სტუდენტი – ივანე იმერლიშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: „თქვენი კუთვნილი ყვარელში არსებული ილია ჭავჭავაძის მამული უყურადღებოდაა მიტოვებული და უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. ილიას სახლის აივანი საქათმედ არის გადაქცეული, ხოლო მარანი – ბაყაყების სამფლობელოდ. ის შეკეთებას მოითხოვს და ძვირადღირებული ქვევრები კი წყლისგან დაცვას. საამისო მზრუნველობას კი არავინ იჩენს. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის თავხედი დადგენილება, რომელიც ყვარლის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გამოიტანა: „გაიყიდოს ქვევრები საჯარო ვაჭრობით მარნიდან და აღებული ფული მოხმარდეს ამავე ტერიტორიაზე ასაშენებელ სახალხო თეატრს“. არც თხოვნამ და არც მუდარამ, რომ ამ ჯგუფს უფლება არა აქვს სხვისი საკუთრების გაყიდვისა, არ გასჭრა. ქვევრების საჯარო ვაჭრობისათვის განცხადებებიც უკვე გამოაკრეს. ყვარლის ინტელიგენციის ერთის ჯგუფის დავალებით მოგმართავთ თხოვნით, როგორც ამ მამულის პატრონს, მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა ეს ჰეროსტრატული ნაბიჯი სისრულეში არ იქნას მოყვანილი“. (ფ.484, საქ. №1087, ფ.125).

ასეთი პროტესტის მიუხედავად, ეს ჰეროსტრატული ნაბიჯი მაინც გადაიდგა: ყვარლის მაშინდელი უვიცი თავკაცები მიადგნენ ერთ მშვენიერ დღეს ძვირად ღირებულ ილიას ქვევრ-მარანს, სადაც 100 საპალნეზე მეტი ღვინო ეტეოდა და უნიკალურ წისქვილს, გაყიდეს ქვევრები და წისქვილის მოწყობილობა და შეგროვილი თანხით ილიას მშობლებისეული ბინის მესამე ოთახზე, სადაც ილიას აკვანი იდგა ხოლმე და მარანზე კულტურის სახლი დააშენეს, ხოლო ილიას საძინებელი ოთახი – კულუარებად და საწყობებად აქციეს.

სამსასრთულიანი საგვარეულო ციხე-კოშკი კი, სადაც ილია დაიბადა, ორსართულიან ნაგებობად იქნა გადაკეთებული, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან მიდგმული ჰქონდა შუშაბანდი. ეს შენობა, ილიას გარდაცვალების შემდეგ, სამკითხველოს ფუნქციას ასრულებდა, ხოლო მუზეუმის გახსნის შემდეგ, აქ იქნა განთავსებული ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მუდმივმოქმედი გამოფენა.

საცხოვრებელი სახლის დასავლეთით არსებულ, სათონისა და ბეღლის ადგილას ყვავილების გამოსაზამთრებელი ორანჟერია იყო მოთავსებული.

მოლით დაფარულ ეზოსა და ხეხილის ნაცვლად გაშენებული იყო სხვადასხვა მწვანე ნარგავები: დეკორატიული ბუჩქები, პამპასის ბალახები, აგავები, გიორგენები და სხვ. ხოლო ხეებიდან კი – ლილეოდენდრონები, მარადმწვანე მაგნოლიები, პალმები, ფიჭვისა და ნაძვის, ჭადრის ხეები... ფაქტიურად ეზო თანამედროვე, კეთილმოწყობილ, ლამპიონებით გაჩახჩახებულ ბაღს წარმოადგენდა და არა ილიას ყრმობისდროინდელ ეზო-კარს. მუზეუმში თითქმის აღარაფერი იყო მემორიალური, გარდა იმ ერთადერთი 300 წლიანი კაკლის ხისა, რომლის ჩეროშიაც ირწეოდა ხოლმე ილიას აკვანი.

ეს შეუსაბამობა და უხერხულობა ილო ბეროშვილმა მუზეუმში მოსვლისთანავე იგრძნო და ჯერ კიდევ 1967 წელს, გამოაქვეყნა წერილები ამ საკითხის ირგვლივ პრესაში. აღძრა საკითხი კულტურის სამინისტროსა და რაიონის ხელმძღვანლობის წინაშე, რათა მუზეუმის საქმიანობა წარმართულიყო იქითკენ, რომ აღმდგარიყო მემორიალური გარემო. მუზეუმის დირექტორს პრინციპში

დაუჭირეს მხარი და საქამიანობაც ამ მიმართულებით წარიმართა.

მემორიალობის აღდგენამდე საჭირო გახდა წინა სამუშაოების ჩატარება. პირველ რიგში კი, უნდა აშენებულიყო საგამოფენო დარბაზი ისეთ ადგილას, რომელიც არ შეეხებოდა ეზოს მემორიალურ ნაწილს. ეს დარბაზი განტვირთავდა მემორიალურ მდგომარეობაში აღსადგენ ნაგებობებს ექსპოზიციისა და ფონდებისაგან.

გარკვეული ზიგზაგების გავლის შემდეგ, 1972 წელს ბატონ ილოს უკვე ხელთ ჰქონდა ასეთი დარბაზისათვის საჭირო პროექტი (ავტორები: ვ.ჯორბენაძე და ქ. კობახიძე). პროექტის განხორციელების გზაზედაც გაჩნდა გარკვეული სიძნელეები, მაგრამ 1976 წელს გადნა ყინული და ადგილობრივ ხელმძღვანელთა და ასევე ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერის შედეგად, აშენდა მეტად საინტერესო და ორიგინალური არქიტექტურული ნაგებობა. ამ ნაგებობამ თავისთავად გააკეთა განაცხადი და დააყენა დღის წესრიგში მემორიალობის აღდგენის საკითხი. ილო ბეროშვილმა, რაიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების მერე, მიმართა კულტურის სამინისტროსთან არსებულ საპროექტო განყოფილებას, რათა შეესწავლათ ილიას დროინდელი ეზო-კარის მდგომარეობა და შეედგინათ პროექტი.

მუზეუმის დირექტორის განაცხადის შინაარსი და მოთხოვნა ასეთი იყო:

1.აღდგეს წისქვილი რუსხმულითურთ;

2.აღდგეს მშობლებისეული სამოთახიანი ბინა მარნითურთ;

3.აღდგეს ჭავჭავაძეთა საგვარეულო სამსართულიანი ციხე-კოშკი პირვანდელი იერსახით;

4.აღდგეს დამხმარე ნაგებობანი: სათონე და ბეღელი თავისი მოსადევარით პირვანდელი სახით;

5.აღდგეს თაღოვანი ჭიშკარი – თავისი ღობე-გალავნით;

6.ეზო-კარს კი დაუბრუნდეს ილიას დროინდელი იერსახე.

ზემოთ აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, კულტურის სამინისტრომ მოავლინა ყვარელში არქიტექტორები და სხვა თავიანთი წარმომადგენლები აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით.

ილო ბეროშვილის განაცხადის ყველა პუნქტი თითქმის მისაღებად მიიჩნიეს, გარდა მარნის, იმ მოტივით, რომ მათ ეს მარნის ადგილას მდგარი ნაგებობა სჭირდებოდათ წიგნსაცავად. თავიანთი პოზიციების გამაგრების მიზნით დაუმატეს ისიც, რომ თითქოს იგი რაღაც უნიკალური ნაგებობა იყო, რომელიც კი აშენდა ყვარელში გასაბჭოების შემდეგ და არაფრად არ შეიძლებოდა მისი დანგრევა.

სახალხო სახლებისა და წიგნსაცავების შენება რომ თავისთავად მისასალმებელი საქმეა, ეს თავად კარგად უწყოდა ბატონმა ილომ, მაგრამ ვერაფრით ვერ შეურიგდებოდა მუზეუმის ჭირისუფალი იმ აზრს, რომ მუზეუმის ეზოში, ავარიული კულტურის სახლის (რომელშიაც უკვე დიდი ხანია აღარ ტარდებოდა კულტურული ღონისძიებები ჭერის ჩამოშლის შიშით) წიგნსაცავად გადაკეთებით, ისევ მუზეუმის საქმე ფუჭდებოდა. იმდენი დრო და სახსარი სჭირდებოდა ამ ძველი შენობის გადაკეთებას, რომ ამ საშუალებებით შეიძლებოდა ყვარლის ნებისმიერ ადგილას აშენებულიყო კულტურის სახლიც და წიგნსაცავიც.

ისედაც უკვე შენდებოდა ყვარელში ახალი კულტურის სახლი უფრო კარგ ადგილას, ცენტრში, ხოლო ეს ძველი, ნახევრად დაბზარული, უფუნქციო შენობა თავისი ავგეოსის ბოსელივით მარადჟამს გაუწმენდავი საპირფარეშოთი იმდენად ყარდა, რომ მუზეუმში მოსული მნახველები ხშირად მყისვე ცხვირზე იტაცებდნენ ხოლმე ხელს, ირგვლივ თვალს ავლებდნენ და უკვირდათ, თუ საიდან მოდიოდა ამ სიბინძურის სუნი ამ აყვავებულ ეზოში. მუზეუმის თანამშრომლებს დამთვალიერებლებთან შეხვედრისას, ნებით თუ უნებლიეთ, უხდებოდათ საუბარი ილიას ეზო-კარის ისტორიაზე და მათ სამართლიან წუხილსა და ზოგჯერ აღშფოთებასაც საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგებდნენ, რომ ილიასეულ მარანზე სცენა იყო გადადგმული, ხოლო მამისეული ბინის საძინებელი ოთახი კი, სადაც ილიას აკვანი იდგა, კულუარებად და საწყობებად ჰქონდათ გამოყენებული.

აი, ასეთ მოძველებულ შენობაზე დაიწყო ყვარელში დიდი დავა და პოლემიკა დანგრეულიყო იგი თუ არა, რომ

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

როგორ გავარჩიო კარგი წამალი ცუდისაგან?

დასაწყისი მე-3 გვ. -ზე

რატების რეგისტრაციის უფრო მარტივ პროცედურას ითვალისწინებს. კერძოდ, სახელმწიფოს, მთავრობის დადგენილებით აღიარებული ჰყავს 37 ქვეყნის მკაცრი და ავტორიტეტული რეგულატორი და თუ განმცხადებლის დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ წამალს ეს რეგულატორები იწონებენ, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ექსპერტიზის შემდეგ სახელმწიფო მას ბაზარზე შემოუშვებს.

თუ არსებობს კვლევები, რომლებიც ეფექტიანობას ადასტურებს, მაშინ ყველაფერი წესრიგშია?

კვლევას გააჩნია. ის შეიძლება არასაკმარისად ხარისხიანი იყოს. ყველაზე ხარისხიან კვლევებად მიიჩნევა:

– რენდომიზებული (როდესაც მონაწილეებს ყოფენ რამდენიმე ჯგუფად შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და არ აკომპლექტებენ ჯგუფებს ყველაზე ძლიერებისგან, რომლებსაც შემდეგ წამლებს აძლევენ);

– პლაცებო-კონტროლირებადი (როდესაც კვლევაში ჩართულია ჯგუფი შედარებისათვის, რომელსაც აძლევდნენ „ტყუილ“ პრეპარატს ან ისეთს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში აღიარებულია „ოქროს სტანდარტად“);

– ორმაგი ბრმები (როდესაც არც ექიმმა და არც პაციენტმა არ იცის, ვინ რა პრეპარტს იღებს, რაც ეფექტიანობის შეფასებისას სუბიექტურობას გამორიცხავს);

ასევე სასურველია, რომ კვლევები ტარდებოდეს პაციენტების დიდი რაოდენობის (უკეთესია რამდენიმე ათასის) მონაწილეობით და სხვადასხვა ქვეყანაში. არსებობს კიდევ უამრავი სხვა კრიტერიუმი, რომლებიც მონაცემებით მანიპულაციის შესაძლებლობას გამორიცხავს. მათ სპეციალურ ვებგვერდზეც მოუყარეს თავი, რომელზეც კვლევის ხარისხის შემოწმება შეიძლება.

არსებული ნაშრომების საფუძველზე კეთდება სისტემატური მიმოხილვები, რომლებშიც აფასებენ, თუ რა ვიცით ჩვენ თემის შესახებ და გვაქვს თუ არა საკმარისი საფუძველი, რომ რაღაც ვამტკიცოთ. სისტემატური მიმოხილვებიც სხვადასხვა ხარისხისაა. ყველაზე ავტორიტეტულად მიჩნეულია Cochrane Collaboration-ის ნაშრომები.

ექიმთა საზოგადოებები ამ მონაცემებს იყენებენ იმისთვის, რომ შექმნან ამა თუ იმ დაავადების თავიდან აცილების, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის გზამკვლევები. მაგრამ ხშირად ჩვენ არ გვაქვს უბრალოდ საკმარისი ინფორმაცია მყარი რეკომენდაციების გასაცემად და სწორედ ასეთ დროს არის მნიშვნელოვანი ექიმის გამოცდილება.

ხომ შეიძლება ძალიან კარგი პრეპარატის კვლევისთვის ფული არ არსებობდეს?

ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ პრეპარატის ავკარგიანობაზე, თუ ის შესწალილი არ არის. ის შეიძლება პერსპექტიული იყოს, მაგრამ ვიდრე მისი ეფექტიანობა და უსაფრთხოება არ დადასტურდება, სჯობს, არ მივიღოთ. ისტორიაში არსებობს შემთხვევები, როდესაც საკმარისი შესწავლის გარეშე ბაზარზე გატანილ პრეპარატებს, მძიმე შედეგები მოჰყვა. მაგალითად ტალიდომიდი, რომელსაც 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში ფეხმძიმე ქალები დამამშვიდებელი ეფექტისთვის სვამდნენ. პრეპარატი ბავშვებში სერიოზულ თანდაყოლილ დეფექტებს იწვევდა.

ზოგჯერ, მწარმობლები ცდილობენ კარგი კვლევების არარსებობა იმით გაამართლონ, რომ ეს პრეპარატი ან მკურნალობის მეთოდი თავდაცვის სისტემის მიერ საიდუმლოდ შემუშავებულია (რის გამოც კვლევები გასაიდუმლოებულია), ან ამბობენ, რომ ამ წამლის გავრცელებით ბევრი პრეპარატი ფუჭი გახდება, რის გამოც ფარმაკოლოგიური კომპანიები შემქმნელს წინააღმდეგობას უწევენ და ებრძვიან. ასეთი არგუმენტები თაღლითობის და ცრუმეცნიერების უტყუარი ნიშანია.

კიდევ რა კრიტერიუმები არსებობს?

ამერიკის წამლების და სურსათის კონტროლის სააგენტო (FDA) მომხმარებლებს ურჩევს არ ენდონ ასეთ „წითელ ნიშნებს“, როდესაც:

– თქვენ გპირდებიან რომ სწრაფად განიკურნებით უამრავი დაავადებისაგან ერთი მეთოდის ან წამლის საშუალებით;

– პრეპარატის აღწერაში გამოყენებულია ისეთი სიტყვათა შეთანხმებები, როგორებიცაა „სამეცნიერო გარღვევა“, „სასწაული განკურნება“, „საიდუმლო ინგრედიენტი“, „უძველესი წამალი“, „ნატურალური საშუალება“.

– ეფექტიანობის დადასტურებისათვის მოყვანილია „განკურნებული პაციენტების“ ნაამბობი, რაც შეიძლება, უბრალოდ, მოგონილი იყოს ან გამოჯანმრთელება გარემოებათა თანხვედრის შედეგია.

ზოგჯერ ასეთ პრეპარატებს ახსენებენ სტატიებში ან ინტერვიუებში ცნობილ ექიმებთან, რომლებშიც ისინი ინოვაციურ წამალს რეკომენდაციას უწევენ. სინამდვილეში, პროფესიონალი ექიმი არასდროს გაუწევს რამეს რეკლამას და დანამდვილებით არ გააკეთებს ამას საჯაროდ. შესაბამისად, მსგავსი მასალები ყალბია.

1918-1921 წლების საქართველოს სისხლიანი საქმე



1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნები დაიწყო. საქართველოში ამისი ერთ–ერთი შედეგი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წლის მარტი). მაგრამ ახალი რუსეთის სათავეში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ვერ გადაწყვიტა ის კარდინალური საკითხები, რაც განსაკუთრებით აღელვებდა მოსახლეობის ფართო ფენებს: ზავის საკითხი (ქვეყანა ისევ აგრძელებდა მსოფლიო ომში მონაწილეობას), მიწის საკითხი და სხვ. ყოველივე ეს კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმა (კომუნისტებმა) ლენინის მეთაურობით და 1917 წლის ოქტომბერში დროებითი მთავრობა დაამხეს. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა არ ცნეს ამ გადატრიალების კანონიერება. 1917 წლის 15 ნოემბერს მათ შექმნეს საკუთარი მთავრობა – ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ფაქტობრივად, დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის პროცესი. ეს პროცესი იურიდიულად დასრულდა 1918 წლის 9 (22) აპრილს, როდესაც გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, ცენტრით თბილისში. ახლადშექმნილი რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა მრავალპარტიული შემადგენლობის სეიმი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ქართველი სოციალ–დემოკრატი ნ. ჩხეიძე. მისი მოადგილეები იყვნენ სომხური და აზერბაიჯანული პარტიების წარმომადგენლები. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ამიერკავკასიური ხელისუფლების წინაშე იდგა, იყო თურქეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი; გრძელდებოდა მსოფლიო ომი, რუსეთის არმია, რომელიც თურქეთის ფრონტზე მოქმედებდა, XIX–XX სს–ის დამდეგის საქართველოს ეროვნული და სოციალურ–განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო. 26 მაისი საქართველოში აღინიშნება, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური იყო, თუმცა მის შემადგენლობაში ჭარბობდნენ სოციალ–დემოკრატები. სოციალ-დემოკრატიული პარტია იმ პერიოდის საქართველოში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. ამ პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია (1868–1953) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა. ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მოშლილი იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით ჭირდა სურსათი. ხელისუფლებას კი დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არ გააჩნდა არავითარი თანხები მყარ ვალუტაში. საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე 28 მაისს აღიარა გერმანიამ, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური სახელმწიფოების დამარცხების შემდეგ საერთაშორისო აღიარების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. საქართველოს მთავრობამ ამ თხოვნით მიმართა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. 1920 წელს თურქეთის, გერმანიისა და არგენტინის კვალდაკვალ საქართველო დე ფაქტო ცნეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ. ხოლო მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა საბჭოთა რუსეთმა, მოხდა რესპუბლიკის დე იურე ცნობაც ანტანტის ქვეყნებისა და რიგი სხვა სახელმწიფოების მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩაშემდეგ ერთ ხანს ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული. აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურა. თბილისში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები – უნივერსიტეტი და კონსერვატორია. შეიძლება ითქვას რომ თუ არა ახალი ინტერვენცია და ანექსია, საქართველო თავს დააღწევდა კრიზისს და გააგრძელებდა დამოუკიდებელი განვითარების გზას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომუნისტებმა 1920 წლისათვის რუსეთში გაანადგურეს „კონტრრევოლუციის“ მთავარი ძალები და შეუდგნენ იმპერიის ძველი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას. იმავე წელს მათ ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ასე რომ 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით უკვე საბჭოთა რესპუბლიკების რკალში იყო. მხოლოდ სამხრეთ–დასავლეთიდან ჰყავდა მეზობლად ქემალისტური თურქეთი. როგორც ზემოდ აღინიშნა, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებობდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა აღიარა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ იკისრა თავის ტერიტორიაზე კომუნისტებისათვის ლეგალური მუშაობის შესაძლებლობის მიცემა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს ჭირდებოდა მხოლოდ ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად და საქართველოში თავისი აგენტურისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საქართველოსათვის მეტად ნეგატიური როლი შეასრულეს რუსეთში მაღალ თანამდებობებზე მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა – ი. სტალინმა, ს. ორჯონიკიძემ და სხვ. 1921 წლის 12 თებერვალს სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში კომუნისტებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა“ დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ. მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფება – მეთერთმეტე არმია – უტევდა თბილისს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან. გარდა ამისა, ცალკეულმა შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა იერიში მოიტანეს აფხაზეთსა და ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელებზე. თბილისის მისადგომებთან ცხარე ბრძოლის შემდეგ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი დაეცა. ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. სოციალ–დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ მოახერხა ჭეშმარიტი საერთო–სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არტაანის დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ ქალაქში დარჩენილმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ბათუმი შეინარჩუნეს. თურქების უკანდახევის შემდეგ ბათუმში რუსები შევიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ცენტრებში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არტაანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა. ამრიგად, საბჭოთა რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და განახორციელა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნები დაიწყო. საქართველოში ამისი ერთ–ერთი შედეგი იყო 26 მაისი საქართველოში აღინიშნება, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური იყო, თუმცა მის შემადგენლობაში ჭარბობდნენ სოციალ–დემოკრატები. სოციალ-დემოკრატიული პარტია იმ პერიოდის საქართველოში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. ამ პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია (1868–1953) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა. ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მოშლილი იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით ჭირდა სურსათი. ხელისუფლებას კი დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არ გააჩნდა არავითარი თანხები მყარ ვალუტაში. საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე 28 მაისს აღიარა გერმანიამ, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური სახელმწიფოების დამარცხების შემდეგ საერთაშორისო აღიარების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. საქართველოს მთავრობამ ამ თხოვნით მიმართა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას. 1920 წელს თურქეთის, გერმანიისა და არგენტინის კვალდაკვალ საქართველო დე ფაქტო ცნეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ. ხოლო მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა საბჭოთა რუსეთმა, მოხდა რესპუბლიკის დე იურე ცნობაც ანტანტის ქვეყნებისა და რიგი სხვა სახელმწიფოების მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩაშალა, ჯარისკაცებმა პოზიციები მიატოვეს და სახლებში დაბრუნდნენ, ხოლო შეტევაზე გადმოსულ თურქეთის არმიას ახლადჩამოყალიბებული ქართულ-სომხური რაზმები ვერ აკავებდნენ. აზერბაიჯანელებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და ეთნიკურად მონათესავე თურქებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე. სწორედ თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა ყველაზე ნათლად თუ რა არამყარი იყო ამიერკავკასიის გაერთიანება. სეიმის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ დეპუტაციებს შორის მუდმივი უთანხმოება სუფევდა. აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები ფაქტობრივად თურქეთს ემხრობოდნენ, რომელმაც ამიერკავკასიას დიდი ტერიტორიული მოთხოვნები წაუყენა. ქართველებმა და სომხებმა კი ორიენტაცია გერმანიაზე აიღეს, რათა მას გავლენა მოეხდინა თავის მოკავშირეზე. მართლაც, გერმანიის ჩარევით საქართველო გადაურჩა თურქულ ოკუპაციას. თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ–დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით. ცხოვრებამ უჩვენა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი იყო. მან ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ოფიციალურად აღიარა ფედერაციის გაუქმება. იმავე დღის საღამოს კი შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზეც საქართველო გამოცხადდა სუვერენულ დემოკრატიულ რესპუბლიკად. შემდეგი ორი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა. ამრიგად, 1918 წლის 26 მაისს აღდგა 117 წლის წინ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართველი ხალხი ამ ფაქტს საყოველთაო ზეიმით შეეგება. ეს ისტორიული მოვლენა მოყალიბება მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანას პირველ ხანებში არ ცნობდა რუსული „თეთრი მოძრაობა“, რომელიც გამოდიოდა „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის ლოზუნგით. მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე სასაზღვრო საკითხები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული კამათი ჰქონდა აზერბაიჯანთან ზაქათალის ოლქის გამო. სომხეთის რესპუბლიკა კი პრეტენზიას აცხადებდა საქართველოს სამხრეთ რაიონებზე, სადაც მოსახლეობის ნაწილი სომხური იყო. 1918 წლის დეკემბერში ნაწილი სომხეთის ჯარები მოულოდნელად შემოიჭრნენ საქართველოში, მაგრამ ქართველთა მიერ მოგერიებულნი იქნენ. ამიერკავკასიაში ინგლისური სარდლობის ჩარევით საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილი იქნა. სადავო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა ე.წ. „ნეიტრალური ზონა“ შერეული ქართულ–სომხური ადმინისტრაციით. საქართველოს სრული იურისდიქცია ამ კუთხეში მხოლოდ 1920 წლის ნოემბერში აღდგა. 1918–1920 წლებში ლოკალური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა აგრეთვე სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთელი ოსეთით დასახლებულ ტერიტორიებზე და სხვა რეგიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს. ამ გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტების აგიტაციით იყო გამოწვეული. მიუხედავათ ყოველივე ამისა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველაზე ძნელი პირველი პერიოდის სირთულეები მთლიანობაში დაძლეული იქნა. 1920 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში უკვე აშკარად შეიმჩნევა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ნიშნები. საქართველოს დაუბრუნდა ბათუმის ოლქი, რომელიც მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების

ინფორმაციის წყარო:
https://www.militarium.org/1918-1921/

წმიდა ილია მართლის ყვარლის ეზო-კარის აღმდგენელი

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

მუზეუმს დაბრუნებოდა თავისი ყოფილი ტერიტორია უნიკალური მარნის აღსადგენად.

ეს პოლემიკა წამოიწყო ყვარლის ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა, რითაც მუზეუმის მაშინდელი რამოდენიმე თანამშრომელიც მიემხრო. მათ არ სურდათ აგრეთვე საგვარეულო კოშკის აღდგენაც. მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ ბატონი ილოს დამაჯერებელი არგუმენტების წინაშე. მან, როგორც მუზეუმის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა, კარგად უწყოდა მემორიალური მუზეუმების მთავარი დებულება მუზეუმის კარმიდამოს დაცვასთან დაკავშირებით: „უკეთუ ბაღში რომელიმე მცენარე ან ბუჩქი გახმა, იმავე ადგილას უნდა დაირგოს მეორე, იმავე ჯიშისა და, თუ ეს შესაძლებელი იქნება, თუნდაც, დაახლოებით, იმავე ზომისა და სახლიც, თავისის სხვადასხვა დამხმარე ნაგებობებით, უნდა დავიცვათ და შევინახოთ ისე, როგორც იგი მწერლის სიცოცხლეშივე იყო. მთელი გარეგნული სახე კარმიდამოსი, უნდა შენახულ და დაცულ იქნას თავისი ისტორიული ხელუხლებელი სახით და აღდგენილი უნდა იქნას ის, რაც დაძველდა, ან რაიმე მიზეზით დაინგრა მწერლის სიკვდილის შემდეგ...

აი, ამ პრინციპით სურდა ილო ბეროშვილს, რომ ილიას ეზო-კარსაც დაბრუნებოდა თავისი პირვანდელი იერსახე და ბოლოს, მისი დიდი ბრძოლისა და კამათის შემდეგ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და მუზეუმს დაუბრუნდა თავისი დაკარგული ტერიტორია ავარიული თეატრის შენობით. შენობა დაშალეს და ძველი ფოტო-მასალების, ჩანაწერებისა და დარჩენილი საძირკვლის მეშვეობით, კვლავ აღადგინეს ორსართულიანი მემორიალური მარანი, მშობლებისეულ ბინას კი შეემატა მესამე ოთახიც და კვლავ დაუბრუნდა თავისი დაკარგული ფუნქცია.

მშობლების ბინის აღმოსავლეთით დაანგრიეს ორანჟერია და აღადგინეს სათონე და ბეღელი თავისი მოსადევარით. აღსდგა მემორიალური სამსართულიანი ციხე-კოშკი ადრინდელ მდგომარეობაში და მომავალ თაობებს მიეცათ საშუალება ენახათ, თუ როგორ იბრძოდნენ და იცავდნენ თავს ილიას წინაპარნი. აღადგინეს რუსხმული თავისი წისქვილით მუშა მდგომარეობაში და ხის ბოძებზე გაწყობილი ვაზის თალარი. ნაწილი რკინის ღობისა მოიხსნა და მის ნაცვლად გაკეთდა ძველებური გალავანი „თევზის ფხის“ წყობით, ხოლო რკინის ჭიშკრის მაგივრად აშენდა ძველი თაღოვანი ხის ჭიშკარი, რომლის ნიმუშებიც ახლაც არის შემორჩენილი ყვარლის რაიონში.

ამრიგად საკამაო წინააღმდეგობების გადალახვა მოუწია ბატონ ილო ბეროშვილს ილიას ეზო-კარის მემორიალობის აღდგენისას. მარტო საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიამ ოთხჯერ იმსჯელა ამ საკითხის თაობაზე. მაგრამ ბატონ ილოს გაუტეხელი მოწადინებისა და დაბეჯითებული ცდის შედეგად, ყველა სიძნელე დაძლეულ იქნა, სამართლიანობა აღდგა და ილიას კარმიდამოს დაუბრუნდა თავისი პირვანდელი იერსახე. ამის ღირსი კი, ნამდვილად იყო წმიდა ილია მართალი, მისი დამბადებელი ყვარელი და სრულიად საქართველო.

დეკანოზი
გენიამინ ჩიხორლიშვილი



ვედრება

ჟამთა ცვალებადობა მარტო დღე-ღამის შენაცვლება როდია – დასაბამიდან მისი თანამდევია ბოროტისა და კეთილ სულთა უშეღავათო ბრძოლა

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქვეყანას მხსნელის მანტიაში გახვეული ტიტანთა მოდგმა მოევლინა. მათ მთელი ძალა „ცოდვათა გასამრავლებლად“ გამოიყენეს და „საშინელ არს ესე!“...

ძალადობამ დათრგუნა ჭეშმარიტება, შეაყენა და შეაფერხა ნათელ აზრთა დინება, დაიბუგრა ადამიანის სიკეთის მღაღადებელი სული... მდუღარე ცხოვრების ფსკერზე დაიძირა ნაღები... ზედაპირზე ამოტივტივდა ქაფი... გამწარდა საწუთრო... და ბოლოს აივსო მოთმინების ფიალა – დადგა ჟამი, როცა ბოროტმზრახველნი თვით მოექცნენ აღვარცოფებული ცეცხლის წარღვნაში, რომელიც მათ დაატეხეს თავს კაცობრიობას და უპირველესად საკუთარ ქვეყანას...

ამ ავჟამობას ვერც ჩვენი საქართველო გადაურჩა... თავისუფლება მოუნდაო და ამის გამო მთრგუნველთა მოდგმამ გაორკეცებით დაგვცა თავზარი. მათი შურისძიება ჯერხანობით 9 მარტია და 9 აპრილი... ჯერხანობით იმის გამო ვამბობ, რომ მომავალში რა გველის, კვლავაც მრავალგზითაა საკითხავი!

სასოწარკვეთის წელია 1989 წელი... 9 აპრილი... აგანგაშდა ქვესკნელი – შთანთქა ქართველთა მოდგმა აჭარაში... აგანგაშა ზესკნელი – ჩაჩუმქრა ამაყ სვანთა მოდგმა... მოცილეობენ ისინიც, ვინც ოდესღაც ბედკეცილნი შემოვიხიზნეთ, დავისახლეთ, დავინათესავეთ და ახლა გამრავლებულნი, გალაღებულნი კერის თავს გვისხედან და ჩვენი საკუთარი სახლიდან გვერეკებიან... ერონაირად აგვიშარდა ბუნებაც და დღემდე თანამცხოვრებელი უცხო ტომი უმადურთა მოდგმაც. აი, რატომ დუღს დღეს ქართველი ერი, დიდი თუ პატარა. დუღს ისე ძლიერად, რომ ლამისაა თავის თავი დაიმდუღროს მტერთა საამოდ და მოყვასის სავალალოდ...

გვიჭირს... ძალიან გვიჭირს... „რა გაჭირდეს მაშინ უნდა, გონებანი გონიერსაო“, ვიცით, ზეპირად ვიცით ეს შეგონება, მაგრამ ემოციები სადავეებს სწყვეტს და ღამის თავაწყვეტილმა უგზო-უკვლოდ მქროლავმა მერანმა ისეთ უფსკრულში შეიძლება გადაგვჩეხოს, რომელსაც მოუსავლეთი ჰქვია. სასოწარკვეთა კი იმის გამო გვიპყრობს, რომ გვეშინია, ვაი, თუ ჩვენი ღვთისწილხვედრი საქართველო, ეროვნული გონიერების დეფიციტის გამო, ეშმაკეულთა წილხვედრი გახდეს... ამბობენ: ახალი ილია სჭირდება საქართველოსო. არ არიან ამის მთქმელნი მართალნი! ილია გვყავს და მას განახლება კი არა, დაჯერება სჭირდება! ილიას მრწამსსა და შეხედულებებს – შესწავლა უნდა! მისი მრწამსის რეალიზაცია კი უნდა ხდებოდეს ილიასებური სიდინჯით, ილიასეული სიღრმით, ილიასეული წინგახედულობით.

ღმერთო, გევედრები, ქართველ კაცს გაუღვივე თანდაყოლილი თავმდაბლობა და სიამაყე, განდევნე მისი სულიდან მტერთა საუკუნეების თრგუნვის ჟამს შეძენილი სიმდაბლე და პატივმოყვარეობა! დღეს საქართველო დიდად საპატიო სახელებქვეშ ამოფარებულ დასებად და პარტიებად დაიყო, წინგაუხედავი ქმედებით ერს ერთარსად ქცევის მაგიერ აქუცმაცებენ, ათას საზოგადოებად თიშავენ. მამულის სიყვარულს ქადაგებენ და მტერთა ნისქვილზე ასხამენ წყალს... ღმერთო, შენ შეაგონე და მოაგონე ყველას, რომ საპატიოა მამულის სიყვარული, პატრიოტიზმი, მაგრამ მამულიშვილობა, იმ რჩეულთა ხვედრია, რომელთაც ძალუძთ ჩასწვდნენ წარსულს, შეისწავლონ ისტორია, დაინახონ და არ გაიმეორონ წინაპართა შეცდომები, გაიმაგალითონ მათი ღირსებები. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია უშეცდომოდ აწონდაწონილ აწმყოს ავკარგიანობა, მომავალი განჭვრიტონ და თუ მაინც შეცდნენ, საკუთარ კი არა, სხვის შეცდომებზე ისწავლონ, იმ შეცდომის აღიარება-გამოსწორებაც შეეძლოთ...

შენ გევედრები, ღმერთო, ასეთ რჩეულ მამულიშვილთ ისიც შთააგონე, იქცნენ ერთ არსად, შეაწონონ აზრი აზრს, ფიქრი ფიქრს, რათა ერთ ღარში მოექცეს ყველა ძალა და ენერგია, რომელიც ერის ბედის წისქვილის ბორბალს სასიკეთოდ დაატრიალებს! შთააგონე დაძლიონ ადამიანური სისუსტენი, რათა პირადი აღზევების სურვილებს არ ანაცვალონ ერის ბედი და მომავალი!

ღმერთო, მამულიშვილობით გულანთებულ ახალგაზრდობას შთააგონე ერთმანეთის სიყვარული და გატანა, შენ მიეცი ძალა სიყვარულის ღობეზე აშენებული ოჯახები შექმნან და ერს მრავალი შვილი გაუზარდონ, რათა მხოლოდ ოჯახთა სიმრავლით და სიძლიერით, შეგვიძლიან ის ოცნება ავიხდინოთ, რომელსაც დიდი და თვითმყოფადი, თავისუფალი საქართველო ჰქვია!

ღმერთო, ნუ დაგვტოვებ მარტო გრძნობათა ანაბრად, რათა ჩვენვე ემოციების ცეცხლმა არ დაგვწვას, ნურც მხოლოდ გონებას გაგვიბატონებ, რომ გულცივობამ არ გაგვყინოს! გონებისა, ფიქრთა და ზრახვათა, თქმისა და ქმნის მთლიანობაშია საძებარი ჩვენი ერის ბედსვიანობა! ამიტომ გევედრები, ღმერთო, განდევნე ჩვენგან მონის სული, რომელიც დამძიმებულია შურით, ღვარძლით, სიმდაბლით, ყოყოჩობით, ასეთი სული ხომ ზღვარდაუდებელმა ტირანიამ ჩანერგა ჩვენს სხეულში... ღმერთო, აგვავსე თავისფლების წყურვილით და სურვილით, დაგვანათლე სულგრძელობა, მოთმინების უნარი, მოყვასთა სიყვარული აღგვიდგინე და შენდობის უნარი მოგვმადლე! მხოლოდ სიკეთე გვათესინე, ღმერთო! დაგვაჯერე, რომ „რაიცა იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“, ამიტომ სისხლისღვრისა და ღვარძლის თესვას სჯობს კაცთა შორის სიყვარული და სათნოება ვთესოთ!

ღმერთო, შენ გადაგვირჩინე ჩვენი საქართველო!

ილო გეროშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990186658127018

№ 561 21 / მაისი / 2018 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

"მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების; საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს გივი ზაუტაშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 7 თებერვლის #107 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპირო ს/ მ. #24)

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი

ლოტის №	ქონების დასახელება	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ავტომანქანა ნისან QASHQAI	2008	KVA 003	5950	1190	298	50
2.	ავტომანქანა მერსედეს-ბენცი E230	1997	EMS 335	2100	420	105	50

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563332.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“ – ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2018 წლის 21 ივნისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2018 წლის 23 მაისიდან 21 ივნისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1 – ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი № 599 855 993 ; №595 903 322; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

გია იმერლიშვილის გახსენება

ორმოცდაექვსი გაზაფხული იკმარე მხოლოდ

ამბობენ: სკოლა თავისი აღზრდილებით ფასდებაო. სრული ჭეშმარიტებაა. შენ ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის I საჯარო სკოლაში დაფრთიანდი. სულ რამდენიმე წელიწადს გასწავლიდი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. დღესაც მახსოვს ლამაზი, ჭკვიანი თვალებით მომზირალი ბიჭი, რომელსაც გია იმერლიშვილი ერქვა. ერთნაირი ინტერესით სწავლობდი ყველა საგანს. გამორჩეული იყავი ნიჭითა და ურთიერთობების დიდი უნარით. ამიტომაც თავისთავად ითვლებოდი კლასის ლიდერად. ასაკის მატებასთან ერთად გიძლიერდებოდა ეს კეთილშობილური თვისებები. შენი გონების ძალა მარტო სიტყვებში კი არ იყო, არამედ განსაკუთრებული თვალთახედვის ისრით ზომავდი საგნებს. სხვებისგან შეუნიშნავი რამ შენთვის ადვილი გასაგები იყო. ყველგან და ყოველთვის იგრძნობოდა შენი გონიერება და თავდაჭერილობა.

გავიდა წლები. ილიას ნააკვნარში გაიზარდე და შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად უკრაინის დედაქალაქს კიევს მიაშურე. ხორცისა და ხორცპროდუქტების ფაკულტეტის სტუდენტი გახდი. სამსახურებრივი კარიერა კი შენს ქალაქში აღიმაღლე.

ჩემო გია, შენს მშობლიურ ყვარელს დღესაც ახსოვხარ ჭადრის ხეივანში დინჯად მიმავალი თითქოს ნაადრევად დაბრძენებული ახალგაზრდა.

შენი ნიჭისა და სხვა ღირსეული თვისებების გამო ძალიან ახალგაზრდამ დაიკავე სერიოზული თანამდებობა. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილედ. შენ ამ სამსახურის ტვინი, გული და სული იყავი, ამიტომაც ყველას უყვარდი და გაფასებდნენ კიდეც. წინ კიდევ უფრო დიდი მომავალი გელოდა, სამწუხაროდ, არ დაგცალდა სიცოცხლე, რომელიც ძალიან გინდოდა.

გია, შენ ის ახალგაზრდა იყავი, რომლითაც ამაყობდა არა მარტო ყვარელი, არამედ – მთელი საქართველო. ამიტომაც შენი ამქვეყნიდან წასვლით ბევრს ატკინე გული. განსაკუთრებით – მშობლებს, ცოლ–შვილს, ერთადერთ დას – იას და დისშვილებს და მაინც,

„ყველაზე უფრო მძიმე ცრემლია,
დედის თვალთაგან გადმონთხეული,
მისი გოდებაც ძლიერ მწარეა,
მარტოობასთან ვერ მიჩვეული“.

/მერაბ კოსტავა/.

გია, შენი დაკრძალვა ჩვენთვის დიდი ტკივილიც იყო და დიდი ამაღლებაც. ნათლისმცემლის ეკლესიაში დაგასვენეს. დაგტიროდა მთელი ყვარელი. უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მთელი საქართველოდან შენი პატივისმცემელნი. ეს იყო დასტური იმისა, რომ მარტო ჩვენს გულებს კი არა, არამედ ყველას, ვინც შენ გიცნობდა, მიაყენე უდიდესი ტკივილი.

მასწავლებლისთვის ძნელია სამუდამო სასუფეველში დამკვიდრებულ ყოფილ მოსწავლეებზე საუბარი. შენთან ერთდ ბევრმა მათგანმა გაუჩინა ჩვენს გულებს მოურჩენელი იარა. ნინო ბუჯიაშვილი, თამუნა კანანაძე, ოთარ ბიქოევი, ზაზა ზურიაშვილი, ვაჟა სეფაშვილი და სხვები, რომლებიც ჩვენთვის მართლაც რომ აბღავლებული მოგონებები არიან.

ეხლა გაზაფხულია, წელიწადის უმშვენიერესი დრო, რომლის სურნელითაც თქვენ უნდა დამტკბარიყავით. რა კარგი იყო თქვენი ახალგაზრდობა. კახური „მრავალჟამიერივით“ სულ აღმამსველენი და წინმსრბოლნი იყავით, ტემპერამენტითა და თავბრუდამხვევი ჟრუანტელით აფეთქებულნი.

ჩემო გია, ასეთად დარჩებით ჩვენს მოგონებებში და ვიტოვებთ იმედს, რომ „იად ან ვარდად აყვავებულნი ერთხელმც იქნება გაახელთ თვალებს“.

ყვარლის I საჯარო სკოლის მასწავლებელთა სახელით

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

„ჩვენ აღარა ვართ შენთვის“

ჩვენო გია, ამ საწუთროდან იმ სამკვიდროში შენმა ერთობ მოულოდნელმა გადასვლამ ძალიან გვატკინა და დაგვწყვიტა გული. შენთან თანაკლასელობითა და მეგობრობით ვამაყობდით, რადგან კეთილსაიმედო ბიჭი იყავი ჭკუა-გონებითაც და ზნეობითაც, ფიზიკურადაც და სულიერადაც. შენი კეთილშობილება და ქცევა, ყველასა და ყველაფრისადმი კეთილგანწყობა და გულისხმიერება საოცრად გადამდები იყო. შენ რომ გესაუბრებოდით, თითქოს ერთგვარად ვიცვლებოდით, უფრო კეთილნი და შემწყნარებელნი ვხდებოდით. ასეთ გავლენას ახდენდი ჩვენზე, ამიტომაც ერთხმად გაღიარეთ კლასის ლიდერად. სულ გვიკვირდა და გვითქვამს კიდეც შენთვის, როგორ ახერხებდი, მუდამ მიმტევებელი და კეთილგანწყობილი ყოფილიყავი ყველას მიმართ. შემდეგ შენი წარმატებით ვამაყობდით და ვხარობდით. გვეიმედებოდი, ყველას დამხმარე იყავი.

ძალიან გვაკლიხარ, გია. ამქვეყნიდან შენმა უდროოდ წასვლამ დაგვაობლა, საიმედო საყრდენი გამოგვარიდა.

დღეს შენ თვალს აკლიხარ და არა გულს. არასოდეს მოგვენატრები იმიტომ, რომ ვერასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენს გულებში სამუდამოდ დაიდე ბინა. სამართლიანად უთქვამს ერთ პოეტს:

„გადაუარა ბალახმა
საფლავს – სიცოცხლის წერტილს,
შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ,
ჩვენ აღარა ვართ შენთვის“.

გია, გვინდა გჯეროდეს, შენი მეგობრები შვილებსა და შვილიშვილებს მოვუყვებით იმ ბიჭის შესახებ, რომელიც ჭაბუკად დარჩა მარად და მუდამ იქნება შენი სახსენებელი. ჩვენ კი სიკვდილამდე ყოველთვის ვილოცებთ შენი უმანკო სულისათვის. ძალიან გვაკლიხარ, ჩვენო მეგობარო, ყვარელსა და მთელს საქართველოში გამორჩეულო ვაჟკაცობითა და ადამიანობით. სამწუხაროა, რომ შენი 50 წლის იუბილეს და სხვა იუბილეებსაც შენთან ერთად ვეღარასდროს ვეღარ ვიზეიმებთ.

ჩვენო თავკაცო და ყველასთვის კეთილო ადამიანო, კლასელები გილოცავთ იუბილეს.

უფალი იყოს შენი მფარველი.

ყვარლის I საჯარო სკოლის
1984 წლის კურსდამთავრებულთა სახელით
აკაკი დენტოშვილი

გამოსათხოვარი

ადამ უსტიაშვილი



ღირსეული პიროვნების გარდაცვალებას მუდამ თან ახლავს დიდი ტკივილი, სევდა და წუხილი, მით უმეტეს ისეთი ადამიანის, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ცხოვრებაში და კეთილი საქმეების წყალობით დავიწყებას არ მიეცემა მისი სახელი.

ასეთი პიროვნება გახლდათ ადამ უსტიაშვილი, ოჯახის ერთგული და ჩვენთვის უსაყვარლესი მეგობარი.

თვალწინ გვიდგას შენი განვლილი გზა, ნათელი სულისა და გონების ადამიანი იყავი, შესანიშნავი მოქალაქე და სამეურნეო მუშაკი, მუდამ გაწონასწორებული, თავმდაბალი, დიდი პასუხისმგებლობის მქონე, სიმართლის მოყვარული, უტყუარი და ალალმართალი. ამიტომაც გაიარე ცხოვრების გზა შეუფერხებლად. მეცხოველეობის დარგებს ხელმძღვანელობდი ენისლისა და ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობებში და ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იმყოფებოდი. შენი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით აღმავლობით ვითარდებოდა მეცხოველეობის და მეფრინველეობის დარგები და სახელმწიფო დავალებებს პირნათლად ასრულებდი.

ადამ უსტიაშვილის მიერ გავლილი ცხოვრების მთელი გზა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს იმ საქმეს, რომელსაც ადამიანი აირჩევს სამოღვაწეოდ და როგორ უნდა მოიხადოს ვალი ქვეყნისა და ერის წინაშე.

ჩვენო ადამ, უსაზღვროდ ამაყობდი შენი ლამაზი ოჯახით, შესანიშნავი შვილებით, შვილიშვილებით. უსაზღვროა მათი შენდამი სიყვარული, შენგან ხმამაღალი სიტყვაც არ ახსოვთ და უჭირთ დაჯერება, რომ მათ გვერდით აღარ იქნები.

ძნელია შეეგუო იმას, რომ ჩვენს გვერდით აღარ იქნება ასეთი კარგი პიროვნება, როგორიც იყო ყველასათვის ახლობელი, სამეგობროს და გაჭირვებულებისათვის მუდამ მხარში მდგომი, კარგი მოქეიფე და პოეზიის მოყვარული, იუმორით აღსავსე ჩვენი ადამი.

სამწუხაროდ უფლის ნებაა ყველაფერი. ღმერთი ფარავდეს შენს მარადიულ და უკვდავ სულს და გზა გაგიკვლიოს ჩვენგან დანთებულმა სანთლებმა მარადიულ სასუფეველში.

ოჯახი, მეგობრები

კუჭატნის საჯარო სკოლის მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მზია ათაბეგაშვილი-საფარაშვილი და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

სანავარდოს საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მაია ჯუჯუშვილს დედის, მერი ჯუჯუშვილის გარდაცვალების გამო.

2 ტროფი და 9 ოქროს მედალი — ქართული ღვინის წარმატება პოლონეთში

პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ღვინის საერთაშორისო კონკურსში „GALICJA VITIS – 2018“ ქართულმა ღვინოებმა უმაღლესი ჯილდოები – 2 ტროფი და 9 ოქროს მედალი მოიპოვა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სულ კონკურსზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 18 სახეობის ქართული ღვინო.

უმაღლესი შეფასება მოიპოვეს შემდეგმა ღვინოებმა:

ტროფი (რანდ ოლდ)

- კახური წარჩინებული, წითელი, 2013 წ. – კომპანია „ბადაგონი“;
- ალავერდი ტრადიციული, წითელი, 2013 წ. – კომპანია „ბადაგონი“;

ოქრო (ოლდ)

- საფერავი რეზერვი, 2010 წ. – კომპანია „ბადაგონი“;
- კახური წარჩინებული, თეთრი, 2014 წ. – კომპანია „ბადაგონი“;
- საფერავი 2016 წ. – „ვაზიანი კომპანი“;
- მწვანე 2016 წ. – „ვაზიანი კომპანი“;
- ქისი 2016 წ. – „ვაზიანი კომპანი“;
- საფერავი 2017 წ. – კომპანია „ასადელი“;
- რქაწითელი ქვევრი, 2017 – კომპანია „ასადელი“;
- წინანდალი 2016 წ. – „წინანდლის ძველი მარანი“;
- საფერავი 2016 წ. – „წინანდლის ძველი მარანი“.

აღნიშნული კონკურსი ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (IV) ეგიდით იმართება.

კონკურსის ჟიურიში ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამთა ყველაიძე იყო მიწვეული. როგორც მან აღნიშნა, კონკურსი „GALICJA VITIS“ პოლონეთში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მასშტაბურ ღონისძიებად ითვლება.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართულ ღვინის მწარმოებლებს უკვე მეორედ მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ ამ პრესტიჟულ კონკურსში. კონკურსზე წარდგენილი 18 ქართული ღვინიდან 11-მა უმაღლესი ჯილდო მოიპოვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის პოლონეთში. ეს ქვეყანა ბოლო რამდენიმე წელია დამკვიდრდა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში და ეს გამარჯვება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის კუთხით პოლონეთში“ – განაცხადა თამთა ყველაიძემ.

კონკურსზე სულ წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 10 ქვეყნის 400-მდე სახეობის ღვინო.

კონკურსის ორგანიზატორია პოლონეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ფონდი LIჩჟ VIთIშ, რომელთანაც 2016 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

agrokavkaz.ge



შავი შოკოლადი ხელს უწყობს ტვინისა და გულ-სისხლძარღვთა მუშაობასა, აუმჯობესებს მეხსიერებასა და განწყობას



ამერიკელმა მეცნიერებმა კვლევების შედეგად შეისწავლეს როგორ მოქმედებდა თავის ტვინის, იმუნური, ენდოკრინული და გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე კაკაოს მაღალი შემცველობის მქონე შოკოლადის ჩვეულებრივი ფილა.

ექსპერიმენტების სერიის მიმდინარეობისას, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი, რომელიც არანაკლებ 70% კაკაოს და 30% ლერწმის შაქარს შეიცავდა, აძლიერებდა სისხლის მიმოქცევას და აქვეითებდა ორგანიზმში ანთების დონეს. გარდა ამისა, მხოლოდ 48 გრამი ასეთი შოკოლადი მინიმუმ 2 საათით ზრდიდა ნეიროპლასტიურობას, ანუ ნეირონებს შორის კავშირს აუმჯობესებდა. ეს ყველაფერი ხელს უწყობ –0:03 და ტვინის უფრო ეფექტურ მუშაობას, აუმჯობესებდა მეხსიერებასა და განწყობას, ასტიმულირებდა გულისა და სისხლძარღვების მუშაობასა და აწესრიგებდა იმუნური სისტემის ფუნქციას.

რაც მეტია შოკოლადში კაკაოს კონცენტრაცია, მით უფრო დადებითად მოქმედებს იგი ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაე.

მწარე შოკოლადის სასარგებლო თვისებები აიხსნება იმით, რომ კაკაოს მარცვლები მდიდარია ფლავონოიდებით – ბუნებრივი ნივთიერებებით, რომელთაც ანტიოქსიდანტური და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს.

ლალი ჩხიკვაძე

ღირსეული პატივი – ყვარლის კოლორიტებს

20 მაისი ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავალი საინტერესო აქტივობით გამოირჩეოდა. მათ შორის გახლდათ ყვარლის კოლორიტის, აწ გარდაცვლილი ლეილა ნასყიდაშვილის იუბილე და ყვარლის იოანე ნათლიმცემლის სახელობის ტაძრის დეკანოზ ბენიამინის (ჩიხორლიშვილი) პოეზიის საღამო.

ყვარლის თვალსაჩინო ქალბატონის დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად დღის პირველ საათზე ნასყიდაშვილების ეზოში ლეილას მეგობრები და მისი ნიჭის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ.

შვიდი წელია, რაც გამორჩეულ ეზოს დიდებული დიასახლისი აღარ ამშვენებს. ლეილა ნასყიდაშვილი – ღირსების მედალოსანი; მრავალგზის ყვარლის საპატიო მოქალაქე, ნიჭიერი და წარმოსადეგი ქალბატონი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება – მუზეუმთმსახურებაში გაატარა. იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ილიას სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად ყვარელში, ხოლო სიცოცხლის ბოლომდე – გრემის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის მუზეუმის მეცნიერ – მუშაკად.

ბრწყინვალე პიროვნება დააკლდა ჩვენს ქალაქს, ღირსეული, სათნო, კეთილშობილი, ულამაზესი სულის ქალბატონი, რომელსაც, ასაკის მიუხედავად, უამრავი მეგობარი ჰყავდა. ნასყიდაშვილის ეზო მუდამ ღია იყო ყველასთვის, ვისაც „მწვანე წალკოტის“ ხილვა და ლეილასთან გულითადი საუბარი სურდა.

ღონისძიებას უძღვებოდა კულტურის განვითარების ცენტრის სპეციალისტი მაგული სააკიშვილი . მოწვეულ სტუმრებს მასპინძლობას უწევდა შოთა ნასყიდაშვილი, ლეილას უმცროსი ძმა.



დღის სამ საათზე, ილიას სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში გაიმართა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის დეკანოზის – ბენიამინ ჩიხორლიშვილის პოეზიის საღამო, რომელიც მისი დაბადების მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ყვარლის კულტურის სახლის ლიტერატურული კლუბის კოორდინატორი, პოეტი მანანა შატავიძე. დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დარბაზში, მოწვეული სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ: ნეკრესის ეპარქიის საეკლესიო და სამონაზვნო დასის წარმომადგენლები; მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტი ბაღათერ არაბული, თანათავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის წევრი, დრამატურგი, მწერალი ირმა კეკელიძე და მსახიობი თენგიზ გიორგაძე. საღამოზე ავტორის მიერ წაკითხული იქნა ახალი პოეტური ნამუშევრები; სიტყვით გამოვიდნენ და დეკანოზის პოეზიაზე ისაუბრეს მოწვეულმა სტუმრებმა, ყვარლელმა პოეტებმა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა.

ვინც დეკანოზ ბენიამინს იცნობს, კარგად მოეხსენება, რომ იგი პირადზე მაღლა სხვების ცხოვრებას აყენებს, სხვისი სტკივა და სხვისი უხარია. სიკეთითა და სათნოებით აღსავსე მოძღვარი, აგერ უკვე, 8 წელია, პოეზიის მადლთან ერთად აგრძელებს თანამემამულეების სულიერ მეოხებას. მამა ბენიამინის პოეზია მრევლთან ურთიერთობის კიდევ ერთი, სულიერი საშუალებაა. მის ლექსებში მძაფრად იგრძნობა უდიდესი სურვილი და მისწრაფება, მკითხველს გააცნოს წმინდანთა ცხოვრება, მართლმადიდებლური დღესასწაულები და ამ გზით კიდევ უფრო დააახლოვოს სახარებისეულ სიბრძნეებს და წმინდა წერილებს. ყოველი მისი პოეტური ნამუშევარი – ლოცვის გაგრძელებაა, ზეცად აღვლენილი, სამშობლოსა და ადამიანთათვის, რომელიც მკითხველს მაღალ მატერიალურ ღირებულებებზე აფიქრებს.

ლია გიგიტაშვილი

„ღამე მუზეუმში“ — ილიას ნააკვნარზე

აქციას „ღამე მუზეუმში“ საფუძველი 2005 წელს ევროსაბჭომ ჩაუყარა და მას შემდეგ რეგულარულად ტარდება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში. მოგვიანებით, აქციამ ფართო მასშტაბი მიიღო და გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

2015 წლიდან საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს მუზეუმები აქტიურად შეუერთდნენ მუზეუმების ღამის აქციას.

აქციის ფარგლებში ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმმაც უმასპინძლა მრავალრიცხოვან სტუმრებს. აქ მოსული ადამიანები თავად გახდნენ იმ კულტურული ღონისძიებების მონაწილენი, რომლებიც აქციის ფარგლებში ჩატარდა ილია მუზეუმის ეზოში.

პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. საკონცერტო ნომრები წარმოადგინეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა „ხეურომ“, „ნელქარისმა“, ყვარლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა და სხვებმა. ამის პარალელურად, დამსწრეთათვის შესაძლებელი იყო ენახათ დოკუმენტური ფილმი „ყვარლიდან წინამურამდე“, რომელიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიაცენტრის ნამუშევარია.

„ღამე მუზეუმის“ ტრადიციული სტუმრები არიან ფოლკლორული ანსამბლების რესპუბლიკური ფესტივალის მონაწილეები, რომელთა ნაწილმაც ფესტივალის დასრულების შემდეგ ილიას ეზოში წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედება. მათ შორის იყვნენ, თბილისის, ბორჯომის, ახალციხის და სხვა მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული სკოლები.

ია გიგიაშვილი

შერეული ნათესები და მცველი მცენარეები

შერეული ნათესები ერთდროულად (ერთ კვალზე) რამდენიმე კულტურის მოყვანას გულისხმობს.

ეს მეთოდი ითვალისწინებს ერთ კვალზე სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების მოყვანას. თანაც მნიშვნელოვანია ამ კულტურების ისეთნაირად შერჩევა, რომ თუ ერთს ზედაპირული ფესვთა სისტემა აქვს, მეორეს ღრმა ფესვთა სისტემა უნდა ჰქონდეს; საკვები ნივთიერებების მიმართაც მომთხოვნი და ნაკლებად მომთხოვნი მცენარეები ერთმანეთს უნდა შეუთავსოთ.

ამ მეთოდის გამოყენებით ნიადაგს მთელი ვეგეტაციური პერიოდის მანძილზე მუდმივად ფარავს მცენარეულობა. ამის შედეგად კი ხელსაყრელი პირობები ექმნება ნიადაგურ პროცესებს და ითრგუნება სარეველები. რადგანაც ნიადაგიდან არ გადის ერთი და იგივე საკვები ნივთიერებები, ამით განონასწორებულია სხვადასხვა მცენარის მომარაგება ამ ნივთიერებებით.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ ბევრი მცენარე, როცა ისინი ერთად მოჰყავთ, ერთმანეთის ზრდასა და აგრეთვე მავნებლებისა და დაავადებების მიმართ გამძლეობასაც აძლიერებენ (ფესვებისა და ფოთლების სპეციფიკური გამონაყოფის მეშვეობით).

ზოგიერთი გურმანის აზრით, კულტურული მცენარეების სხვადასხვა სახეობის შეთავსება აგემრიელებს პროდუქციას (მაგალითად: თუ გვერდით ქინძი უთესია, პომიდორს სურნელი ემატება, ასევე – კარტოფილსაც, თუ ნაკვეთში პიტნაა შეთესილი; წიწმატელას გვერდით მოყვანილ ბოლოკსაც უფრო სასიამოვნო გემო აქვს, ვიდრე სალათის მეზობლობაში ექნებოდა).

შერეული თესვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მცენარეთა შეთავსებადობა.

მცველი მცენარეები

ამ ჯგუფს ეკუთვნიან არა მარტო ის თანამგზავრი მცენარეები, რომლებიც მწერებს აფრთხობენ, არამედ ისინიც, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავგზას უბნევენ მათ. ბევრი მწერი საკვებად გამოსადეგ მცენარეს სუნით ეძებს. მაგალითად, სუნით პოულობენ კომბოსტოს მიწის რწყილები და კომბოსტოს ხვატარი.

თუ კომბოსტოს სიახლოვეს მძაფრი სუნის მქონე მცენარეებს, მაგალითად, ქონდარს ან სალბს გავზრდით, ანდა კომბოსტოს ამ მწვანილეულის ექსტრაქტს მოვასხურებთ, ამით კომბოსტოს სუნი მიიჩქმალება და ეს ბოსტნეული ნაკლებ მიმზიდველი გახდება მავნებლებისათვის.

სურნელოვანი ბალახები თავიანთი მძაფრი სუნით აბნევენ მავნებლებს და ბოსტნეულ კულტურებს იცავენ, ამიტომაც რეკომენდებულია, რომ რეჰანი მოვიყვანოთ პარკოსნების სიახლოვეს, რათა ისინი დავიცვათ ლობიოს მემარცვლიასაგან;

ნიორი-ვარდებთან, ბუგრებისგან დასაცავად; ოხრახუში-სატაცურის გვერდით.

თუმცა ბალახეულის მოქმედება ყოველთვის ერთნაირი ძალით არ ვლინდება. კულტურების დაცვის მიზნით სურნელოვანი ბალახეულის გამოყენებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ მცენარეთა შორის კონკურენცია არსებობს.

ბალახეული რომ არ გათამამდეს და ძირითადი კულტურა არ დაიჩაგროს, ისინი ამ კულტურის რიგებში ცოტ-ცოტა უნდა შევთესოთ და ამ კვლების ნაპირებს „ჩარჩოსავით“ შემოვაყოლოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ შერეულ ნათესებში მცენარეთა დაცვითი მოქმედება მთლიანად ვერასოდეს გააქრობს მავნებლებს, მხოლოდ მათი შემცირების იმედი უნდა ვიქონიოთ.

კაკლის ხეები აფრთხობენ სახლისა და შინაური ცხოველების ბუზებს, ამიტომაც საძოვრებზე გაზრდილი კაკლის ხეები ძალზე უადვილებენ მინდორში ყოფნას ცხენებსა და მსხვილფეხა რქოსან საქონელს. პირუტყვს შეიძლება შევასხუროთ კაკლის ხის ფოთლების ნახარში ბუზების მოსაგერიებლად.

სანეხვეებთან ან საჯინიბოების შესასვლელთან დარგული კაკლის ხეები ამცირებენ ამ ადგილებში ბუზების რაოდენობას.

ტეგანი (Ruta graveolens) აფრთხობს ბუზებს, ამიტომ კარგია, თუ მას ქოთანში ფანჯრის რაფაზე, ნაკელის გროვისა და ბოსლის ირგვლივ დავრგავთ.

ეზოში დარგული აბუსალათინი კოღოს აფრთხობს. თუ აბუსალათინს დაჭაობებული ადგილების გარშემო დავრგავთ, კოღოს გამრავლებას შევანელებთ.

პიტნა არ უყვართ ჭიანჭველებს. თუ მას სურსათის სანყობში მიმოვფანტავთ დაიცავს ჭიანჭველების შემოტევისაგან.

ხმელი ფოთლები, როზმარინი, სალბი, ლავანდი და პიტნა აფრთხობს ჩრჩილს. პომიდვრისა და აბზინდის ექსტრაქტი კი ბუზებს.

სალომე ლომიძე

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი

მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი

კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86